# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 244 (6344)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## „რუსეთისთვის ყველა დონეზე ბოიკოტის გამოცხადება შეცდომა იქნება“

3





- გაცხოველებული გაცხოველება
- ეჰ, კარგი იყო „ძილი ნებისა!“

2

## „ალიანსს საქართველოსთვის“ საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა აქვს

3



## უპასუხო კითხვები „ენგურჰესთან“ დაკავშირებით

## რას და რატომ მალავს ხელისუფლება?

4

ნომრის კარიკატურა






## ნასესხების გასასტუმრებლად კვლავ ფული უნდა ვისესხოთ?!

5

## თბილისში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის სამხედრო ექსპერტს ასამართლებენ

8



РОСБАЛТ




6

## ექიმიც მე ვარ და პროვიზორიც!



7

# ვინ არის აგრესორი

№ 244. პარასკევი, 4 დეკემბერი, 2009 წელი.

ⓞ რაცა გვჭირს

# გაცხოველებული გაცხოველება



**შუა ბაღში ძაღლი ძაღლს გადასკვნოდა. იქვე რამდენიმე სხვა მყე-ფარიც ირეოდა და იღრინებოდა.**

**— არ დაადგა საშველი ამათ! ჩვენს ისედაც გაძაღლებულ ცხოვ-რებას კიდევ ამდენი მაწანწალა ძაღლი სჭირდება? — აღშფოთე-ბას ვერ მალავდა შესაძლო საფრთხისგან თავის დასაცავად ხელ-ჯოხმომარჯვებული ხანდაზმული მანდილოსანი.**

დახმარება შევთავაზე.

დამიმადლა.

ბაღში შემოსასვლელისკენ მივდივართ სვენებ-სვენებით. ბილი-კის ორთავ მხარეს ძელსკამებზე ხალხი ჩამომსხდარა. ზოგნი სა-უბრობენ, ზოგი ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს, ზოგიც...

— ღმერთო, როგორ დაკარგა ხალხმა სინდის-ნამუსი, უკვე არაფრის რცხვენიათ და არავის ერიდებიან, — ძლივს ამოღერღა მოულოდნელი სცენის ხილვით გაშეშებულმა მოხუცმა და ძელ-სკამისკენ მიმახედა, რომელზეც ჩამომჯდარ ყმაწვილს თანატოლი გოგონა მუხლებზე დაესვა და ისე მოურიდებლად ბურჯგნიდა, სიყვარულსა და მოფერებას შეგაძულებდა კაცს.

„საქმეში გართული“ არც მეორე წყვილი აგდებდა ჩირად ხალხის სიმრავლეს და მკერდისა თუ ბარძაყთა სიშიშვლე-მოშილიფვე-ბით თითქოს ერთგვარად ეჯიბრებოდა კიდეც მოპირდაპირე მხა-რეს ძელსკამზე ლამის წამოწოლილ მოალერსე ქალ-ვაჟს..

**უნებლიეთ გამახსენდა, ამ ორიოდ წლის წინათ ერთი თინე-იჯერი გოგონა თანატოლებს როგორ უმტკიცებდა თავის სი-მართლეს: მამაჩემის „გაიმასქნებული“ ვიყო, თუ ასე არ ეთქ-ვასო(?!).**

**ღმერთო, როგორი გაცხოველებული ტემპით ცხოვრლდება ხალხი!**

# ეჰ, კარგი იყო „ძილი ნებისა!“

**არა, ნამდვილად არ მივტირი საბჭოურ წარსულს (თუმცა საკმა-ოდ გაუკუღმართებულმა დღევანდელობამ ლამის ხელშესახებად წარმოაჩინოს იმ ეპოქის ბევრი დადებითი მხარე და სიკეთე), მაგ-რამ იმდროინდელი ტელევიზიის ერთი საღამოს გადაცემა კი აშ-კარად მომანატრეს ამჟამინდელმა საღამოს სატელევიზიო საინფორ-მაციო პროგრამებმა.**

იმ გადაცემას „ძილი ნებისა“ ერქვა.

ამჟამინდელმა საღამოს „ქრონიკა-კურიერებმა“ კი ძილი ლა-მის საერთოდ დაგვიფრთხონ: **თუ რაიმე საშინელება მომხდარა მთე-ლი დღის განმავლობაში, მათგან ყველაზე „გამორჩეულს“ ისე დაწ-ვრილებით მოგვითხრობენ კი არა, მოგვახლიან, რომ ხასიათდამ-ძიმებულ-დამჟავებულებს ძილის სურვილს დაგვიკარგავენ.**



თანაც სადმე ბოლოში კი არ იტყვიან ამაზე, თავშივე „მოგ-ვახარებენ“.

საილუსტრაციოდ შორს არ წა-ვალ: ამ კვირის ორშაბათის სა-ღამოს „კურიერი“ მკვლელობის სიუჟეტით დაიწყო: **ორ ნაქეიფარ გოგოს ნაშუაღამევს ბიჭის გამო უჩხუბია და ერთს მეორე ჩანგლით სასიკვდილოდ გაუმეტებია.**

მთელი ხუთი წუთი გრძელდე-ბოდა ეს სიუჟეტი!

მეორე დღეს უფრო „უკეთესი“ ახალი ამბით გაგვახარა იმავე „კურიერის“ სიუჟეტმა: ამჟამად დაწვრილებით მოგვითხრეს, **როგორ გააუპატიურა და დაა-ფეხმძიმა ცამეტი წლის გოგონა... მშობელმა მამამ!**

იმ „კურიერის“ „მთავარი თემა“ და, შესაბამისად, პირველი, ასევე ხუთწუთიანი სიუჟეტიც ეს იყო!

**მუხრან მაჭავარიანის ერთი ტა-ეპის პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, — ეს გიხარია, შე შობელძაღლო (როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, პირი ხისკენ მიქნია!)?**

**ხოლო თუ არ გიხარია და „უმთავრესადაც“ არ მიგაჩნია, რაღა ამით იწყებ საინფორმაციო გადაცემას?**

**კიდევ იტყვის ამის მერე ვინმე, კარგი გადაცემა არ იყო „ძილი ნებისაო?“**

**რუსლან რუსია**

ⓞ ინფორმაცია

## ნატო უფრო გვიდგას მხარში, ვიდრე ევროკავშირი

**საგარეო საქმეთა ექს-მინის-ტრის ირაკლი მენაღარიშვი-ლის შეფასებით, საქართვე-ლოს ტერიტორიულ მთლია-ნობასთან დაკავშირებით ნა-ტოს პოზიცია უფრო მყარია, ვიდრე ევროკავშირის.**

**— ალიანსის პოზიცია საქარ-თველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირე-ბით ურყევია. ის ბევრად უფ-რო მკაფიო და მკაცრია, ვიდ-რე ევროკავშირის, — განაცხა-და მენაღარიშვილმა და აღ-ნიშნა, რომ საქართველოს სა-კითხზე საუბარი ნატო-რუსე-თის საბჭოს სხდომაზეც გაი-მართება, რომელიც ბრიუ-სელში 4 დეკემბერსაა დაგეგ-მილი.**

**მენაღარიშვილის ვარაუ-დით, რუსული მხარე აღნიშ-ნული საბჭოს სხდომაზე ალი-ანსს ევროპული უსაფრთხო-ების ახალ კონცეფციასთან დაკავშირებით მედვედევის ინიციატივის საფუძველზე მომზადებულ პროექტსაც გა-აცნობს.**

## გატაცებათა სერია გრძელდება

**გალის რაიონის სოფელ სა-ბეირიოდან რუსმა ოკუპან-ტებმა ადგილობრივი მკვიდ-რი, 45 წლის თამაზ ჯობავა გაიტაცეს.**

**ოკუპანტებმა ჯობავა ენგუ-რის სანაპიროდან მაშინ აიყ-ვანეს, როდესაც იგი თევზაო-ბდა.**

**ჯობავას ოჯახს გამოსასყი-დის სახით 50 000 დოლარის გადახდა მოსთხოვეს, რისი სა-შუალებაც დატყვევებულის ოჯახს არ გააჩნია.**

ჯი-ეიჩ-ენი

ⓞ საფრთხე

**იმის იმედი, რომ როდესმე აფხა-ზეთში დავბრუნდებით ან აფხაზეთი დაბრუნდება საქართველოს შემად-გენლობაში და ისტორიული სამარ-თლიანობა აღდგება, დროის გასვ-ლის კვალობაზე თანდათან ფერმ-კრთალდება. საქმეს არც საერთა-შორისო ორგანიზაციები შველის და არც ჩვენი პოლიტიკოსების წალ-მა-უკუღმა სირბილი თუ ფრენა. ასეთმა თავქარიანობამ აგვისტოს**

# კიდევ რომელი ქვეყანა აღიარებს აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს?

**ომამდე მიგვიყვანა, რომელშიც „ბრწყინვალე გამარჯვება“ მოგვი-პოვებია. თანაც როდის!!! დიდგო-რის დიდი გამარჯვებიდან 887 წლისთავის იუბილეზე. 2008 წლის „წარმატებული“ საომარი ოპერაცია მედვედევ-სარკოზის ექვსპუნქტი-ანი შეთანხმებით აღინიშნა, რომ-ლის პირობებიც დღემდე არ შესრუ-ლებულა და ამის გამო საპროტეს-ტოდ მხოლოდ აღშფოთება-შეშფო-თებას (თანაც ღრმას) გამოხატავენ.**

ვისი იმედიც ამ კონფლიქტების მოგვარების, საქართველოს გაერთი-ანების საქმეში გვქონდა, აგვისტოს ომის დროს დაბრმავდა, დაყრუვდა და ხელ-ფეხიც წაერთვა. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ მისი მდგო-მარეობა ამ მხრივ თანდათან მძიმდე-ბა, რასაც კატასტროფამდე მივყა-ვართ და ისეთი საერთაშორისო სამ-ხედრო ბლოკისკენ გაწვდილი ხელი, როგორიც ნატოა, სამწუხაროდ, ჰა-ერში რჩება.

ამ დროს რას აკეთებს რუსეთი აფხაზეთისთვის? ახლადგამოჩეკილ „რესპუბლიკელებს“ დედობრივ მზრუნველობას არ აკლებს. იმას არ სჯერდება, რომ მის გარდა მხოლოდ მსოფლიოს ორმა სახელმწიფომ და ჰამასმა აღიარეს ორი მეამბოხე ავ-ტონომია. ახლა აფხაზეთი „მოკრძა-ლებული“ თხოვნით მიმართავს ეკ-ვადორს. ამის შესა-ხებ ინფორმაციას რუსული მედია სო-ხუმის რეჟიმის სა-გარეო საქმეთა მი-ნისტრის მოადგი-ლეს მაქსიმ ღვინ-ჯიას განცხადება-ზე დაყრდნობით ავრცელებს.

მედიის ცნობით, ეკვადორში სამუ-შაო ვიზიტად მყოფმა სოხუმის დე-ლეგაციამ ქვეყნის პრეზიდენტს რა-ფაელ კორეას დამოუკიდებლობის ცნობის თხოვნით წერილი და აფხა-ზეთის, ისტორიისა და საქართვე-ლოსთან კონფლიქტის ამსახველი მა-სალები გადასცა. აღნიშნულთან და-კავშირებით მაქსიმ ღვინჯია ეკვა-დორში შეხვედრებს მართავს. საინ-ტერესოა, აღიარებს თუ არა ეკვადო-რი აფხაზეთისა და ოსეთის დამოუ-კიდებლობას. სამაგიეროდ ზუსტად ვიცით, როგორი იქნება საერთაშო-რისო საზოგადოებისა და ქართველი პოლიტიკოსების რეაქცია ამ საკითხ-ზე, პირველი მათგანი აღშფოთდება, მეორე კი გვეტყვის, რომ ყველაფერი კარგადაა და ჩვეული ცინიკური და ზედაპირული კომენტარებით შემო-იფარგლება.

**ანა წიწილაშვილი**

ⓞ სოციალური სფერო

# მომავალი წლიდან ინვალიდებს პენსია გაეზრდებათ

## გუშინ უნარშეზღუდულ პირთა საერთაშორისო დღე პომპეზურად აღნიშნეს

**გუშინ, 3 დეკემბერს ინვალიდთა საერთაშორისო დღე იყო, რომელიც საქართველოშიც, შეიძლება ითქვას, პომპეზურად აღინიშნა. სასტუმრო „რე-დისონში“ ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატი-ვით სოლიდური კონფერენცია გაიმართა, რო-მელსაც უამრავი სტუმარი დაესწრო.**

უცხოელებთან ერთად მოწვეული იყვნენ ქვეყ-ნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგა-ნოების წარმომადგენლები: ვიცე-სპიკერები რუ-სუდან კერვალიშვილი და გიგი წერეთელი, ჯან-დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძე, განათლების მინისტრის მოადგილე ირინე ქურ-დაძე, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი რო-ლანდ მონაში, ინვალიდთა საერთაშორისო ინსტი-ტუტის პროგრამების მენეჯერი ბრუს კურთიზი და სხვები.

უნდა ითქვას, რომ იმ ქვეყანაში, რომელსაც 170 ათასი უნარშეზღუდული ადამიანი ჰყავს, აქედან კი 140 ათასი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, მხო-ლოდ გასულ წელს მიიღეს „შეზღუდული შესაძლებ-ლობების მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია“. ფაქტობრივად ეს არის დოკუმენტი, სადაც პირველად ოფიციალურად კონ-ცეპტუალურ დონეზე აღიარებულია ის პრინციპები, რომელთა დეკლარირებას დიდი ხანია ახდენდა ჩვე-ნი სახელმწიფო. კონფერენციაზე ითქვა, რომ 2010 წელი უფრო აქტიური იქნება, რადგან გუშინვე პარ-ლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე იმს-ჯელეს უნარშეზღუდულ პირთა სოციალური ინ-ტეგრაციის სამწლიან სამოქმედო გეგმაზე, რომელ-საც პარლამენტი წლის ბოლომდე დაამტკიცებს. **ინ-ვალიდებისთვის შეიძლება დიდი ვერაფერი ნუ-გეშია, თუმცა მაინც კარგია, რომ სახელმწიფომ პრიორიტეტებს შორის სწორედ ისინი გამოყო და როგორც კონფერენციაზე გიგი წერეთელმა განაცხადა, ინვალიდების პენსია 50 პროცენტით გაიზრდება. ადრე ზოგიერთი 15, ხოლო ზოგი — 25-ლარს იღებდა, კატეგორიების მიხედვით. ამას ემატებოდა სოციალურ ზღვარს მიღმა მყოფი პი-რის შემწეობის თანხა.**

რუსუდან კერვალიშვილის თქმით, ზოგადად შექ-მნილი უმუშევრობის ფონზე ინვალიდთა დასაქმე-ბის საკითხი ასევე პრიორიტეტული გახდება, მიუ-ხედავად გლობალური ეკონომიკური კრიზისისა.

კონფერენციები, უნარშეზღუდული ადამიანების პრობლემებზე საუბარი, ალბათ, მაშინ იქნება უკ-რიანი, თუ ის შედეგს გამოიღებს. როგორც ჟურ-ნალ „იმედის“ რედაქტორი თემურ მიქიაშვილი ამ-ბობს: **„3 დეკემბერს დღესასწაულს ვერ დავარ-ქმევთ. ძნელია უწოდო მას საზეიმო დღე, მაგრამ ამის მიუხედავად, მათთვის, ვისაც ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ვიდრე სხვა დღეებში, შეიძლება იყოს რაღაცით გამორჩეული, თუმცა სევდით მოსილი“.**



**დღევანდელ დღეს ჩვენ ვუძღვნით ისეთ პრობ-ლემას, რომელიც შეიძლება ოდესმე ყველას შე-ეხოს, ინვალიდობა — ეს არის სტატუსი, რომე-ლიც არავის სიამოვნებს და ამისთვის შეგნებუ-ლად არავინ იბრძვის. ეს ბედის ირონიაა...**

**ნია ფიფია**

## თვალსაზრისი



***რუსულ-ქართული ურთიერთობები, ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების გათავისუფლების საკითხი, საქართველოში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების აუცილებლობა და რუსეთთან სახალხო დიპლომატიის წარმართვის შედეგები, – „მედიანიუსი“ ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილს ესაუბრა, რომლის თქმითაც, არსებული ვითარებების გათვალისწინებით, დღეს მეტად აუცილებელია რუსეთთან კონტაქტების შენარჩუნება.***

# „რუსეთისთვის ყველა დონეზე ბოიკოტის გამოცხადება შეცდომა იქნება“

– აგვისტოს ომმა ქართული საზოგადოება ორი გამოკვეთილი მძიმე რეალობის წინაშე დააყენა: რუსეთის მიერ აღიარებული ტერიტორიები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით და გაწყვეტილი რუსულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობები. დღემდე ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ რუსეთთან სამთავრობო დონეზე, არანაირი მოლაპარაკებები არ იმართება. იმისათვის, რომ ჩვენ, როგორც ქვეყანამ, მტრულად განწყობილ ქვეყანასთანაც შევინარჩუნოთ ურთიერთობის ბერკეტები, რაც მსგავს სიტუაციებში, ყველა სხვა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, საამისოდ, საჭიროა დიალოგი, რომელიც რაღაც დონეზე იარსებებს. თუკი ამ პროცესს, გარკვეული გარემოებების გამო, ოფიციალური წრეები ვერ ახორციელებენ, მას სამოქალაქო საზოგადოება უნდა აგვარებდეს. ამას უნდა გრძნობდეს ინტელიგენცია, ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ნდობის ფაქტორი შექმნან, როგორც ქართული, ასევე რუსული მხარისთვის. ეს აუცილებელია პოლიტიკური პროცესის შემდგომი გაღრმავებისთვის, სადაც ჩვენი ინტერესები იქნება დაცული. თუ გაწყვეტილი ურთიერთობების პირობებში სახალხო დიპლომატია არ მუშაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ საშიშროება ძლიერდება. ამიტომ საჭიროა, რომ გარკვეულმა ადამიანებმა იზრუნონ საკუთარ ხალხზე. კონფლიქტის ვითარებაში, სახალხო დიპლომატია აუცილებელი თანმხვედრი პირობაა, რათა პოლიტიკური პროცესი დაიწყოს.

**– ბატონო გოგი, სახალხო დიპლომატია რა შედეგის მომტანი შეიძლება ყოფილიყო იმ ფონზეც, როდესაც ტირძნისიდან გატაცებული მოზარდები, ჯერ კიდევ ტყვეობაში იმყოფებიან...**

– სწორედ ასეთი შემთხვევების დროს აქვს სახალხო დიპლომატიას გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენ დღეს ამ ბავშვების შესახებ გარკვეულ სწორ ინფორმაციას რომ ვფლობთ, ეს ამ ურთიერთობის შედეგია. ჩვენ გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა ცხინვალში და მათგან მუდმივ კონტაქტში ვიმყოფებით. ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები თავად იმყოფებოდნენ არასრულწლოვანებთან შეხვედრაზე, გაესაუბრნენ და ზუსტი ინფორმაცია მოიპოვეს თუ რა მდგომარეობაში არიან ისინი. ამ ადამიანებს ცხინვალში უამრავ ადამიანთან აქვთ კონტაქტი, შეხვედრა და დიდ როლს ასრულებენ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. კარგია, როდესაც მოზარდების საკითხით ევროპელი დიპლომატი თომას ჰამერბერგი დაინტერესდა. მაგრამ ამით საქმე არ კეთდება. შედეგები მხოლოდ სამოქალაქო ფონის შექმნას შეუძლია მოიტანოს. ჩვენ სწორედ ასეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს და იმ აქტიურ ადამიანებს ვეკონტაქტებით, რომლებიც ყოველმხრივ ჩართული არიან მთელ ამ პროცესში. ისინი გავლენით სარგებლობენ და ხშირ შემთხვევაში აქვთ რესურსი, ზეწოლა მოახდინონ ადგილზე გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანებზე. მათი მოქმედებები, ასეთი შემთხვევები, ხშირად უფრო ქმედითია, ზოგ შემთხვევაში კი ნაკლებად ეფექტური, მაგრამ ეს აუცილებელია. მომავალში, ჩვენ უნდა ვენდოთ იმ არხებს და საშუალებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ოფიციალურ პირებზე.

**– თუკი სახალხო დიპლომატიის სიკეთეს სახელმწიფოები არ ითვალისწინებენ და პოლიტიკური ფონი იგივე რჩება, რა უნდა გაკეთდეს თავად პოლიტიკური გადაწყვეტილებების დონეზე?**



– ამ შემთხვევაში, როდესაც ჯერ კიდევ მრავლადაა პროვოკაციების და რისკების საფრთხე, საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი უნდა გვქონდეს. ჩვენ მათ უნდა მივმართოთ. ამ დონეზე გამწვავებული ურთიერთობების დამარეგულირებელ და დამაბალანსებელ ფაქტორებს სწორედ საერთაშირისო თანამეგობრობა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ევროკავშირის როლის გაზრდა, რომელიც, მსგავს სიტუაციებში, სპეციალურ მისიებს ქმნის. საქართველოში ძალიან გაუარესებულია მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ქვეყნიდან ეუთოს მისია გავიდა, ხოლო გაეროს მისია – აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან. ამიტომაც საჭიროა, რაღაც დონეზე ვიზრუნოთ, რომ აუცილებლად აღდგეს ეს კონტაქტები. ამაში ჩართული უნდა იყოს არა მარტო ოფიციალური წარმომადგენლები, არამედ სამოქალაქო საზოგადოება. საქართველოში სამოქალაქო სექტორი ამაში, საბედნიეროდ, ჩართულია და ჩვენ ყველა დონეზე ვიღებთ მონაწილეობას. მაგალითად, ახლახანს ბრიუსელში ვმონაწილეობდით არასამთავრობოების შეხვედრაში, სადაც დავაყენეთ საკითხი, რომ აუცილებელია ეს მისიები საქართველოში აღდგეს. ამ გზით მოლაპარაკებები მიმდინარეობს და უფრო უნდა გაღრმავდეს.

**– ვხედავთ, რომ რუსეთი უპირობოდ აყენებს საქართველოს ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნას და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილავს ქართულ მხარესთან დიალოგს. პარალელურად მოსკოვი ქართული პოლიტიკური პარტიების ლიდერების ვიზიტებს ნაკლებობას არ განიცდის. რა პოლიტიკურ ნაბიჯებთან გვაქვს საქმე?**

– მე შემიძლია გიპასუხით მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების სახელით. არ შემიძლია კომენტარი გავაკეთო ცალკეული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელების რუსეთში სტუმრობებთან დაკავშირებით და იქ გამართულ შეხვედრებზე. ასეთი პოლიტიკური პარტიების ლიდერები თვლიან, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად სწორედ ასეთი ნაბიჯებია გადასადგმელი და ცდილობენ, დაასაბუთონ კიდეც. ეს არის მაინც პოლიტიკური ხაზი, მაგრამ ჩვენ ვმუშაობთ არაპოლიტიკურ დონეზე, თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ჩვენ პოლიტიკოსებთანაც გვაქვს ურთიერთობა და კონტაქტი. ამ სიტუაციაში, ჩვენ ერთიანად უნდა მივიღოთ მონაწილეობა, გავაკონტროლოთ და რაღაც შედეგიც მივიღოთ, ამა თუ ინიციატივას დავუჭიროთ მხარი. როდესაც ქვეყნებს შორის ომია და საუბარი მიმდინარეობს ურთიერთობების რაღაც ფორმით აღდგენასთან დაკავშირებით, თუ რა ვითარებაში უნდა წარიმართოს ქართულ-რუსული ურთიერთობები, ეს უკვე სხვა საკითხია და ამის მზა რეცეპტი სადღეისოდ არ არსებობს. მე შემიძლია ვთქვა, იმ გამწვავებულ ფონზე, რაც დღესაა და მათ დარეგულირებაში არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე. სხვა საკითხია, პოლიტიკური ნაბიჯები შეიძლება კონკრეტულ მომენტებში არც კი მოგწონდეს, თუ ვინ ვისთან ამყარებს კონტაქტს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება საკითხის ასე დაყენება, რომ კონტაქტი, მოდით, საერთოდ არ იყოსო. რუსეთისთვის ყველა დონეზე ბოიკოტის გამოცხადება შეცდომა იქნება.

## ვარაუდი



***„ალიანსი საქართველოსთვის“ მიერ მომზადებული საარჩევნო კოდექსის ცვლილებათა პაკეტის დაბლოკვამ და ნაციონალური მოძრაობის პროექტის განსახილველად პარლამენტში შეტანამ, კიდევ უფრო გაამძაფრა იმის განცდა, რომ ხელისუფლება მერისა და თვითმმართველობის არჩევნების გაყალბებას ეცდება. მართლაც მოსალოდნელია თუ არა არჩევნების გაყალბება და რა ძმნის ამის წინაპირობას? ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.***

# „ალიანსს საქართველოსთვის“ საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა აქვს

**– ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ ხელისუფლება მართლაც შეეცდება თვითმმართველობის არჩევნების გაყალბებას?**

–რა თქმა უნდა.

**– რის საფუძველზე ამბობთ ამას? თქვენი აზრით, გასაყალბებლად რა რესურსი გააჩნია?**

– ხელისუფლებას აქვს ყველა ის რესურსი, რომელსაც იგი იყენებდა წინა არჩევნებში. ეს არის ადმინისტრაციული რესურსი. გარდა ამისა, ცდილობს საკანონმდებლო ველში დაიტოვოს ისეთი ხვრელები, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს, რადგან კარგად აცნობიერებენ, რომ უმრავლესობის მოპოვება სხვაგვარად წარმოუდგენელი სიძნელეა. ასევე გამოიყენებენ ყველა იმ გზას, რაც 2008 წლის ორივე არჩევნებზე სცადეს. ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ ამომრჩეველი არჩევნებზე არ მივიდეს.

მათ თავისი კოორდინატორებისგან კარგად იციან მოსახლეობის განწყობა. არჩევნების გაყალბების მზაობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ პარტიებს გაყალბების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება აეკრძალათ. თუმცა ხელისუფლება მაინც ცდილობს გაითვალისწინოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქციაც. უშუალოდ არჩევნების დღეს ასე ველურად აღარ მოიქცევა, როგორც მოიქცა 2008 წლის იანვარსა და მაისში. ეცდება თვითმმართველობის არჩევნები იყოს მეტ-ნაკლებად მშვიდი. მაგრამ მომზადება გასაყალბებლად და გასამარჯვებლად წინა დღეს დასრულდება, რაშიც არცთუ საპატიო როლს სამოქალაქო რეესტრი შეასრულებს. როგორც ვიცით, უამრავ ყალბ პირადობის მოწმობას უშვებენ. ყალბი პასპორტებით ხმას მიაცემინებენ იმ არა თბილისელებს, რომლებიც „ნაციონალების“ მომხრეები არიან.



**– ამ ყველაფრის გათვალისწინებით ოპოზიციას რა შანსები რჩება, უღირს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუ სჯობია, ბოიკოტი გამოუცხადონ?**

– ეს უკვე პოლიტიკური გემოვნების საკითხია. ორივე პოლიტიკური გზა პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგია.

**– ოპოზიციას რატომ უნდა აწყობდეს ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუ წინასწარ იციან, რომ არჩევნები გაყალბდება და ხელისუფლებას საამისოდ ყველანაირი რესურსი გააჩნია?**

– ნებისმიერი არჩევნები ყველა პარტიისთვის არის საკუთარი ძალის შემოწმების საუკეთესო საშუალება. გარდა ამისა, ოპოზიციური სპექტრი იმდენად ჭრელია, წარმატებული და წარუმატებელი პოლიტიკური ძალის გარკვევას არჩევნების გარდა სხვა საშუალებით ვერ შეძლებენ.

პოლიტიკური ძალა, რომელიც არ იბრძვის არჩევნების გზით, ნელნელა პასიური ხდება და მომავალ პერსპექტივას იუარესებს.

**– მოდით, კონკრეტულად „ალიანსი საქართველოზე“ ვისაუბროთ. ახალი შექმნილი გაერთიანებაა და მათი მიზანიც ის არის, რომ საკუთარი შესაძლებლობები შეამოწმონ, თუ სხვა მიზეზით სურთ ამ არჩევნებში მონაწილეობა?**

– „ალიანსს“ უფრო მაღალი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და გამარჯვების გარკვეული კონტურები ესახებათ, რომელსაც მე ასე მარტივად ვერ გავიზიარებ. ჩემი აზრით, მათი სტრატეგია დამყარებულია იძულებაზე, რომ ხელისუფლებას საჯაროოდ ჩაადენინონ დანაშაული, სიყალბე.

იხ. 4 გვ.

## ინფორმაცია

### კრემლმა მსოფლიო საზოგადოების აზრი ფეხებზე დაიკიდა

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსი ოკუპანტების მიერ ქართველების გატაცების ფაქტების გახშირებას სპეციალური განცხადებით ეხმაურება და აღნიშნულს „ამორალურ ქმედებებად“ აფასებს.**

**– რუსი ოკუპანტების ამორალურმა ქმედებებმა ტოტალური ტერორის ხასიათი მიიღო. კრემლი ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ მას არაფრად მიაჩნია საერთაშორისო სამართალი და მსოფლიო საზოგადოების აზრი. დაუსჯელობის სინდრომმა რუსეთის ხელისუფლების შეგნებაში იმდენად მოიკიდა ფეხი, რომ უკანონობა კრემლის პოლიტიკის ნორმად იქცა. ამის კიდევ ერთი ნათელი დასტურია, რომ ოკუპანტები ღიად ებრძვიან ბავშვებსაც კი და დღემდე მძევლად ჰყავთ ტირძნისიდან გატაცებული საქართველოს ორი არასრულწლოვანი მოქალაქე, – ნათქვამია განცხადებაში.**

**საქართველოს მხარე მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობასა და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს სათანადო შეფასება მისცენ ზემოხსენებულ ყაჩაღურ ქმედებებს და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება მომავალში ამგვარი დანაშაულების აღკვეთის მიზნით.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

 აი, „გამჭვირვალობა“

**„ენგურჰესის“ შესახებ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და რუსულ სახელმწიფო კომპანია „ინტერ რაო-ეეს“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის დეტალები კვლავ უცნობი რჩება. საზოგადოების ნაწილი აცხადებს, რომ სახელმწიფომ საჯარო ინფორმაციას გრიფი „საიდუმლო“ დაადო, ხოლო სასამართლომ ამ საკითხის განხილვისას პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო.**

# რას და რატომ მალავს ხელისუფლება?



უპასუხო კითხვები „ენგურჰესთან“ დაკავშირებით

### შესავლის ნაცვლად

როცა დოკუმენტის გამოთხოვის პირველი მსურველი გაჩნდა, ენერგეტიკის სამინისტრომ მეორე დღესვე მემორანდუმს საიდუმლო გრიფი დაადო. სამინისტროს არგუმენტი ასეთია: მემორანდუმი რუსული კომპანიისთვის კომერციულ ინფორმაციას შეიცავს. სიმართლის ძიების პირველ ეტაპს — ენერგეტიკის სამინისტროში შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივრებს — შედეგი არ მოჰყოლია და საქმე საბოლოოდ სასამართლომდე მივიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეების მოთხოვნა. სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, სასამართლომ ვერ ცნო ბათილობის საფუძველი ენერგეტიკის სამინისტროს იმ სადავო ბრძანებულებისა, რომლის მიხედვითაც დოკუმენტი „დახურეს“.

**„2009 წლის 16 იანვრის წერილით, კომპანია „ინტერ რაო-ეეს“-მა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსგან მოითხოვა ზემოაღნიშნული მემორანდუმის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, ვინაიდან მემორანდუმი შეიცავდა განსახორციელებელ კომერციულ გეგმას, რომლის გამჟღავნებითაც შეილახებოდა მისი კომერციული ინტერესები. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $27^2$ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, კერძოდ მემორანდუმი აკმაყოფილებდა კომერციული საიდუმლოების ნიშნებს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2009 წლის 16 იანვრის ბრძანებით მემორანდუმი მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სადავო ბრძანების ბათილობის საფუძველი არ არსებობს და ამასთან ურთიერთგაგების მემორანდუმის განსაჯაროება საფრთხეს შეუქმნის კომპანიის კონკურენტუნარიანობას,“** — ასეთია პრესსამსახურის განმარტება.

### არგუმენტები გრიფის წინააღმდეგ

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აზრით, ენერგეტიკის სამინისტროსთვის „ინტერ რაო-ეეს“-ის მიმართვა საკმარისი არ უნდა ყოფილიყო დოკუმენტისთვის გრიფის დასადებად. **„ამ შემთხვევაში სამინისტროსთვის ამოსავალი უნდა გამხდარიყო არა მეორე მხარის კომერციული ინტერესი, არამედ საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულება და ქართველი ხალხის ცხოველი ინტერესი,“** — ამბობს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი.

ხიდაშელს იმაშიც ეპარება ეჭვი, რომ დოკუმენტი კომერციული ინფორმაციის შემცველია: **„ენერგეტიკის სფერო შეზღუდული კონკურენციით გამოირჩევა. მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ახდენს რეგულირებას. არსებობს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია.“**

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დოკუმენტს „საიდუმლოს“ გრიფს არ მოხსნიდა, მოსარჩელეები მოითხოვდნენ, მემორანდუმის ის ნაწილი მაინც გამოქვეყნებულიყო, რომელიც კომერციულ საიდუმლოებას არ შეიცავდა. სასამართლო გადაწყვეტილება ამის შესაძლებლობასაც არ იძლევა.

მოდავე მხარეების გარდა, „24 საათი“ იურისტებს, ეკონომისტებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაესაუბრა. მათი შეფასებით, ხსენებული მემორანდუმი საჯარო დოკუმენტია.

„ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის დავით ნარმანიას განმარტებით, **„მემორანდუმი არ არის დოკუმენტი, რომელსაც სამართლებრივი ძალა აქვს. ის უფრო განზრახვათა დოკუმენტია. აქედან გამომდინარე საინტერესოა, რა საიდუმლო დევს რუსეთის და საქართველოს ხელისუფალთა განზრახვაში?“**

ნარმანიას მსგავსად, ეჭვები ექსპერტებსაც უჩნდებათ. **„ვერ წარმომიდგენია, ამ დოკუმენტში რა უნდა იყოს საიდუმლო, თუ ეს, გარკვეული თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს ინტერესებთან ან საღ აზრთან?“** — ასეთ შეკითხვას სვამს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დავით ონოფრიშვილი.

**„ჩემი აზრით, ყველა დოკუმენტი უნდა იყოს გამჭვირვალე და ღია. მაგრამ საკითხი ეკონომიკის სფეროს სცილდება, ეს უკვე პოლიტიკური საკითხია,“** — ამგვარ შეფასებას იძლევა ექსპერტი ემზარ ჯგერენაია.

იურიდიულ საკითხებში ექსპერტ ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, ჩვენ არ უნდა ვიდავოთ იმაზე, შეიცავს თუ არა მემორანდუმი რუსული კომპანიისთვის საიდუმლო ინფორმაციას. ხმალაძის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებას ანუ ენერგეტიკის სამინისტროს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაეკმაყოფილებინა „ინტერ რაო-ეეს“-ის მოთხოვნა: **„არ შეიძლება, რომ საჯარო ხელისუფლებას კომერციული საიდუმლოება ჰქონდეს, მაშინაც კი, როცა საქმე არ ეხება ქვეყნისთვის სტრატეგიულ ობიექტს... არსებობს სამხედრო საიდუმლოება, მაგრამ ხელისუფლება ვერანაირ ეკონომიკურ ხელშეკრულებას ვერ გახდის კონფიდენციალურს, ვინაიდან იგი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. ხელისუფლებამ მე და თქვენ უნდა აგვიხსნას, რაში ხარჯავს ჩვენი ჯიბიდან ამოღებულ ფულს.“**

### „სასამართლო მარიონეტია“

„ენგურჰესის“ თემაზე მსჯელობისას ჩვენმა რესპონდენტებმა თბილისის საქალაქო სასამართლო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში დაადანაშაულეს და დამატებით განმარტეს, რომ მათთვის ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა.

**„შესაძლოა, სასამართლომ „ზემოდან“ მიიღო მითითება, როგორც ეს აქამდე არაერთხელ მომხდარა. არც ის არის გამორიცხული, ხელისუფლების წარმომადგენლებმა სასამართლო დაარწმუნეს, რომ ასეთი ტიპის დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო“ უნდა ჰქონდეს, თუმცა ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე შეცდა...“** — ასეთი ვარაუდი გამოთქვა დავით ნარმანიამ.

ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ბიძინა გუჯაბიძემ კიდევ უფრო მწვავე განცხადება გააკეთა: **„მოსამართლეს ხელისუფლების ბრძანება რომ არ შეესრულებინა, სამსახურს დაკარგავდა. ნებისმიერი მოსამართლე ხელისუფლების მარიონეტია.“**

**„ჩვენ არ გვჯერა პოლიტიზებული სასამართლოსი,“** — აცხადებენ მოსარჩელე მხარეები. მიუხედავად ამისა, ისინი ქვეყნის მასშტაბით ყველა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას აპირებენ. მათი ვარაუდით, საქმე საბოლოოდ სტრასბურგამდე მივა.

სახელისუფლებო გუნდის წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი პავლე კუბლაშვილი უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტარს არ აკეთებს, სასამართლოს პოლიტიზების შესახებ ოპონენტთა შეფასებებს კი კატეგორიულად არ იზიარებს: **„ძალიან სამწუხაროა, თუ ვინმე სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ასეთ შეფასებებს აკეთებს. როგორც ჩანს, ეს ადამიანები ვერ აცნობიერებენ სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობას ქვეყნისთვის. ისინი სასამართლოს პოლიტიზებაში ადანაშაულებენ და ამ გზით თავის დამკვიდრება სურთ. ეს დრო წარსულს ჩაბარდა...“**

### დამატებითი შეკითხვა

„ენგურჰესის“ თემა მრავალ კითხვას ბადებს. ინფორმაციის საჯაროობის გარდა, „24 საათის“ რესპონდენტები სხვა საკითხებზეც ამახვილებენ ყურადღებას. პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების ნაწილს აინტერესებს, რატომ გადაწყვიტა საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკური თანამშრომლობა ქვეყანასთან, რომელთანაც საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით?

**„მე თუ მკითხავთ, შეკითხვების დასმა აქედან უნდა დაიწყოს: რაში დასჭირდა საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი ტიპის თემებზე რუსეთთან — აგრესორ ქვეყანასთან დაეწყო საუბარი? რატომ ვაფორმებთ დაპირისპირებულ ქვეყანასთან მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში?“** — დავით ნარმანია ამ კითხვებზე პასუხს ხელისუფლებისგან მოითხოვს.

დაბოლოს, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა „ენგურჰესის“ თემაზე საუბრისას კიდევ ერთ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ბოლო დროს სამწუხარო ტენდენცია შეინიშნება: **„გახშირდა შემთხვევები, როცა სახელმწიფო სტრუქტურები ინფორმაციის თავისუფლებას ძალზე შეზღუდულად, ვიწროდ განმარტავენ. ზოგჯერ კანონი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და ასეთ დროს რამდენიმე მოსაზრება ჩნდება. ჩემი აზრით, როცა ამდენს ვლაპარაკობთ გამჭვირვალობაზე, საჯარო მოხელე ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების სამართლის გამოყენებისას მაქსიმალურად მოქნილი იყოს.“**

ხიდაშელის განმარტებით, ჩვენთან პირიქით ხდება: საჯარო მოხელეები კანონს ყოველთვის შეზღუდულად განმარტავენ და თანაც — დახურულობის სასარგებლოდ.

**ვერიკო თევზაძე,**

**ХИ-ЭИВ-ЭНИ**

ვარაუდი

**(მესამე გვერდიდან)**

# „ალიანსს საქართველოსთვის“ საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა აქვს

**— ბატონო სოსო, ხელისუფლებისთვის რატომ იყო ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მერის არჩევნებზე 30-პროცენტიანი ბარიერის დაწესება? მიუხედავად იმ რესურსებისა, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, მაინც ეშინიათ, რომ მათი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს? რატომ დაჭირდათ ასე საჯაროდ თავის გამოაშკარავება, რომ ოპოზიციასთან კონსესუსის მიღწევა მათ ინტერესში არ შედის?**

— საქმე ეხება თბილისს. თბილისი განსხვავდება იმ რეგიონებისგან სადაც, გუბერნატორის ერთი შეძახილით არჩევნებს მუდმივად ხელისუფლება იგებს. თბილისი ყოველთვის პრობლემური იყო ნაციონალური მოძრაობისთვის, დაწყებული 2005 წლიდან.

2003 წელს სწორედ თბილისმა გაამარჯვებინა ნაციონალებს წინა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. თბილისის დაკარგვა სერიოზული მარცხი იქნება ამ პოლიტიკური ძალისთვის, რადგან მომავალში რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგან ფეხის მოსაკიდებლად, ეს ფაქტი მაინც გავლენას მოახდენს შემდგომ პოლიტიკურ ვითარებაზე. ისიც იციან, თუ რამდენი პროცენტი მიიღეს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. იციან, რომ გაყალბებებითაც კი 50 პროცენტს ვერ მიიღებენ. საპრეზიდენტო არჩევნებზე რეალურად ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა 47 პროცენტზე მეტი ვერ დააგროვა. იძულებული გახდნენ რეგიონებში ხმის დათვლის პროცესი შეეჩერებინათ. სადამკვირვებლო ჯგუფებმა ძალიან ბევრი მკაფიო დარღვევა დააფიქსირეს. ახლა იმასაც აცნობიერებენ, რომ ის, რაზეც 2008 წელს თეთრმა სახლმა და ევროპამ ორჯერ დაიბრმავა და დაიყრუა თავი, წელს ამას აღარ გააკეთებენ, რადგან ამ თვალსაზრისით ვითარება საგრძნობლად შეცვლილია. ისიც კარგად იცოდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ტურის ჩატარების შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა ვერ გაიმარჯვებდა.

ანალოგიური სიტუაციაა ახლაც. რაც არ უნდა ფართო იყოს ოპოზიციური სპექტრი მერის არჩევნებში, მეორე ტურში მათი ელექტორატი გაერთიანდება. ამიტომ ასეთ მაღალ რისკზე ვერ წავლენ. გარდა ამისა, ხელისუფლებას გაყალბება უფრო ძვირი დაუჯდება, რადგან გაყალბების პროცესში ბევრად მეტი ადამიანის ჩართვა მოუწევს. ამომრჩევლის მოსყიდვის მექანიზმები ძვირდება. იგივე იმ ადამიანებს, ვინც ამ პროცესში ერთვება, ხომ უნდა გადაუხადონ?. მეტი ხმის დასაგროვებლად მეტი ასეთი ადამიანი დასჭირდებათ, რაც ხარჯებს უორმაგებთ. მართალია, ხელისუფლებას არჩევნების გასაყალბებლად ფული არ ენანება, მაგრამ დათვლაც იცის.

საგარეო ვალი

# ევროობლიგაციების ტვირთი



## ნასესხების გასასტუმრებლად კვლავ ფული უნდა ვისესხოთ?!

**მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, მრავალი საერთო ნიშნის გარდა, ყველა ქვეყანაში რაღაც ისეთი განსხვავებული მომენტი ახლავს, რომელიც მას თუნდაც რეგიონის სხვა ქვეყნებისგან გამოარჩევს. კერძოდ, საერთო გასაჭირის მიუხედავად, კრიზისი ზოგიერთ ქვეყანაში ნაკლები სიმძაფრით მიმდინარეობს, ზოგან — გაცილებით მწვავედ, ზოგან კი ექსპერტები უკვე სულაც ფინანსური ჭაობიდან ამოსვლაზეც ალაპარაკდნენ და ამის დამამტკიცებელი არგუმენტებიც მოჰყავთ.**

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ საყოველთაო გაჭირვების დროს საქართველოს მიმართ შარშანდელ აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ ჩვენი ქვეყანა, კერძოდ, მისი ეკონომიკა, ფინანსური პოტენციალის ზრდა რამდენიმე წლით უკან რომ დასწია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. აგრესორის შემოტევამ კვალი ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს, ცხადია, ფინანსურსაც დაამჩნია, რადგან ომის წარმოება, შემდეგ ინფრასტრუქტურის აღდგენა, ლტოლვილთა პატრონობა-დაბინავება უზარმაზარ ხარჯთანაა დაკავშირებული, რაც არცთუ მძლავრი ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყნისთვის მეტად მძიმე ტვირთია.

ამდენად, ბუნებრივია, რომ შარშანდელი აგრესია ნეგატიურად უნდა ასახულიყო ფინანსური სფეროს ისეთ უმნიშვნელოვანეს და მეტად პასუხსაგებ სეგმენტზე, როგორიცაა **ქვეყნის საგარეო ვალი.**

საერთაშორისო ექსპერტების საყოველთაო აზრით, **თუკი ქვეყნის საგარეო ვალის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნახევარს, ანუ 50 პროცენტს, ხოლო ექსპორტის 105 პროცენტს შეადგენს, ეს კრიტიკულ ზღვრად ითვლება, რის შემდგომ იგი ვალის გადახდას ველარ ახერხებს.** ხოლო თუ ქვეყანა საგარეო ვალის გასტუმრებაზე უარს განაცხადებს, იგი ბანკროტად გამოცხადდება, რის შემდეგ მას არც საჩუქრად, არც, მით უმეტეს, სესხად, ერთ ცენტსაც არავინ მისცემს.

არადა, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოს საგარეო ვალი მთლიანი შინა პროდუქტის 21 პროცენტს, ექსპორტისა კი 70 პროცენტზე მეტს შეადგენს. მრავალი ჩვენი თუ უცხოელი სპეციალისტის აზრით, **საქართველო თანდათანობით ბანკროტად გამოცხადების საშიშ ზღვარს უახლოვდება.** ამასთან, სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ ეკონომისტთა, ფინანსისტთა, ზოგადად დარგის სპეციალისტთა შორის არსებობს სავსებით საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ, მთავრობის მტკიცების მიუხედავად, წლის განმავლობაში თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც ეკონომიკური ზრდა შეინიშნებაო, არსებულ ვითარებაში საქმე გვაქვს თუ არა შეგნებულ დეზინფორმაციასთან, არასაიმედო სტატისტიკურ მონაცემებთან მაინც.

**რაოდენ გულსატკენიც უნდა იყოს, წლეულს და შარშან საქართველოს საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა,** არადა სამი ოთხი წლის წინათ (2005-2006 წ.წ.) ჩვენი საგარეო ვალი მცირდებოდა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ დავიწყეთ ვალის ნელ-ნელა გასტუმრება, რაც, უწინარესად, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მობილიზების ხარისხის ამაღლებით და სავალუტო კურსის ცვლილებებით იყო განპირობებული.

მოვიყვანთ რამდენიმე კონკრეტულ ციფრს: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, **შარშან მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობამ 12 მილიარდ 797 მილიონი დოლარი შეადგინა, ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ — მილიარდ 497,7 მილიონი დოლარი, ხოლო საგარეო ვალმა 2 მილიარდ 681,4 მილიონ დოლარს მიაღწია. მარტივი გამოთვლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს საგარეო ვალმა შარშან წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 21 პროცენტი და ექსპორტის 70 პროცენტზე მეტი შეადგინა.** წლეულს კი, ფაქტობრივად ყველა ექსპერტის აზრით, ეს მაჩვენებლები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაუარესდება და ამას შემდეგი მიზეზებით ხსნიან. პირველი ისაა, რომ, ეროვნული ბანკის პროგნოზით, 2009 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ოთხი პროცენტით შემცირდება. იმის გამო, რომ დოლარის წლევანდელი წლიური გაცვლითი საშუალო კურსი შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად მაღალია, მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების გამოხატვის მაჩვენებელი შემცირდება, წლეულს ქვეყნის საგარეო ვალი შესაბამისად გაიზრდება. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ წლეულს ექსპორტის რაიმე საგრძნობი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

უფრო მეტიც: რიგი ექსპერტების აზრით, გარდა იმისა, რომ ჩვენი საგარეო ვალი წლეულს გაიზრდება, ეს სავალალო ტენდენცია, იმის გამო, რომ ექსპორტის ზრდას არც გაისად ველით, 2010 წლის დამლევამდეც შენარჩუნდება, თანაც ზრდა ამ შემთხვევაში ნახტომისებური იქნება.

ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგარეო ვალის ზრდის უარყოფითი ვექტორი, თუ შეიძლება ითქვას, გაცილებით უფრო „გრძელვადიანია". საქმე ის არის, რომ, როგორც მკითხველს ახსოვს, შარშან, როცა სახელმწიფო ბიუჯეტს დადებითი სალდო ჰქონდა და დამატებითი ვალდებულებების აღება საჭირო არ იყო, საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ეგრეთ წოდებული ევრობონდები ანუ ფასიანი ქაღალდები გაყიდა, რომელთა დაბრუნების ვადაა 2013 წელი. ამ შემთხვევაში დიდი ნათელმხილველობა სულაც არ არის საჭირო საიმისოდ, რომ მომავალ წლებშიც საგარეო ვალის ზრდის ტენდენციის ერთგვარი მდგრადობა დავადგინოთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი განსაჭვრეტი არ არის, რომ საგარეო ვალის გასტუმრების მხრივ თუ ვიმსჯელებთ, ახლო მომავალში **საქართველოსთვის ყველაზე მძიმე სწორედ 2013 წელი იქნება, როცა მარტო ვალის გასასტუმრებლად საჭირო იქნება არც მეტი, არც ნაკლები დაახლოებით 1,3 მილიარდი ლარი, რაც წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედზე მეტია!** რა წყაროებით უნდა გაისტუმროს მთავრობამ ეს აშკარად ზედმეტად აღებული ვალი? ექსპერტები არც ეჭვობენ, რომ ეს მოხდება მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული ხერხის გამოყენებით **— ნაკისრი ვალდებულებები შესრულდება ახალი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან შემოსული თანხით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ვალის გასასტუმრებლად სხვა, უფრო დიდი ვალის აღება მოგვიწევს.**

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ექსპერტებს, რბილად რომ ვთქვათ, ოპტიმიზმის საშუალებას ნაკლებად აძლევს, ის არის, რომ დაწყებული გაისიდან, ვიდრე 2013 წლამდე, ასევე მაღალია საგარეო ვალის მომსახურებისთვის გადასახდელი პროცენტები, სადაც ლომის წილი სწორედ ევრობონდების დავალიანების მომსახურებაზე მოდის. კერძოდ, **2010 წელს საქართველოს გადასახდელი პროცენტები 71,34 მილიონი დოლარია; 2011 წელს — 70,06; 2012 წელს — 68,16, ხოლო 2013 წელს — 45,72 მილიონი დოლარი.**

ოთარ ტურაბელიძე

### ინფორმაცია თემაში

*სტატისტიკური მონაცემებით, 2004 წელს საქართველოს საგარეო ვალი 4 მილიარდ 155,5 მილიონი ლარი იყო. 2006 წელს ეს მაჩვენებელი საგრძნობლად, ორი მილიარდ 954,2 მილიონ ლარამდე შემცირდა. შარშან იგი ნახტომისებურად ავარდა 4 მილიარდ 407,4 მილიონ ლარზე. ახლანდელი მონაცემებით კი იგი 5 მილიარდ 173,4 მილიონ ლარის ტოლია, თუმცა წლის დამლევამდე კიდევ ერთ თვეზე მეტია დარჩენილი.*

ბიზნეს-პროექტი

# გაქვთ კარგი იდეა, მაგრამ არ გაქვთ ფული?..

**მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით ისინი დააზარალა, რომლებიც ბანკებზე იყვნენ დამოკიდებული. ზოგიერთისთვის სესხის უკან დაბრუნება გახდა საძნელო, ხოლო იმათთვის, რომლებსაც ეგონათ, რომ კრედიტს აიღებდნენ და რაღაც ბიზნესს დაიწყებდნენ, თანხის გაცემა ან შეწყდა, ან პირობები გამკაცრდა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და სესხის აღება კვლავაც ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული.**

ამ ფონზე მართლაც საინტერესოდ და იმედისმომცემად გამოიყურება ახალი პროექტი, რომელსაც გაეროს განვითარების ფონდი და ევროკავშირი ახორციელებენ საქართველოში.

პროექტს **„მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისთვის"** ეწოდება და მასში იგულისხმება ის ადგილები, სადაც კონფლიქტის გამო დაზარალებული ძველი და ახალი იძულებით გადაადგილებული პირები მრავლად არიან ჩასახლებულნი. თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ პროექტი არ გულისხმობს მხოლოდ დევნილ მოსახლეობას, მიკროსესხის აღება ასევე შეუძლიათ ადგილობრივ მცირე მეწარმეებს და ქალებს (გენდერული თანასწორობისთვის).

ასეთი რეგიონებია სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი. სწორედ ისინი იქცნენ გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის სამიზნე რეგიონებად, რადგან აქ ყველაზე მეტად აისახა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგები და გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი. შედეგად, ამ რეგიონებში შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, გაუარესდა ბიზნეს-გარემო და გაიზარდა უმუშევართა რიცხვი.



## „მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისთვის"

**პროექტის დასაფინანსებლად 2 მილიონ 600 ათასი დოლარი გამოყო ევროკავშირმა, აქედან უშუალოდ სესხების დასაფინანსებლად მილიონ 600 ათასი დაიხარჯება, 70000 დოლარი უკვე გაცემულია სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ასამუშავებლად, რასაც ითვალისწინებს სწორედ ეს პროექტი.**

**სესხის მაქსიმალური თანხა 3 ათასი დოლარია, მაგრამ საპროცენტო განაკვეთი არის ძალიან ინდივიდუალური და ხელსაყრელი. მსესხებელსა და გამსესხებელს შორის საკმაოდ ლოიალური ურთიერთკავშირი ყალიბდება და პროექტი იძლევა ლავირების საშუალებას, რაც მიმზიდველს ხდის დაფინანსების პროცესს.**

მიკროსესხების გაცემას უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული ექვსი მიკრო საფინანსო ინსტიტუტი და ერთი ბანკი: „ალიანს ჯგუფი", „კრედო", „კრისტალი", „ფინკა", „ფინაგრო", „ლაზიკა კაპიტალი" და „კონსტანტა".

პროექტის მნიშვნელოვანი მხარეა ისიც, რომ უფასო ბიზნეს-ტრენინგები და კონსულტაციები ჩატარდება ამ რეგიონებში მცხოვრები დაინტერესებული პირებისთვის (არ არის სავალდებულო იყოს მეწარმე). ტრენინგებს ასევე ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციები ჩაატარებენ: „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", „საქართველოს სოფლის განვითარების ფონდი" და „ერანი".

„მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისთვის" ივლისიდან ხორციელდება და მომავალი წლის შემოდგომამდე გასტანს, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ საინტერესო პროექტის შესახებ საზოგადოება კვლავაც არ არის კარგად ინფორმირებული. პრობლემის მოგვარებაში მას დაეხმარა „ფაბლისითი ჯგუფი", რომლის თაოსნობით გუშინ პროექტის პრეზენტაცია მოეწყო ამავე პროექტის სათაო ოფისში. პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ **თათია როგავამ** ვრცლად მოუთხრო მედიის წარმომადგენლებს „მიკროსესხების" დეტალების შესახებ. მოწვეული იყვნენ პროექტში ჩართული ორგანიზაციის წევრებიც.

„ფაბლისითი ჯგუფის" კოორდინატორმა **თაკო ჯიბუტმა** აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ეს პროექტი იმ ადამიანებისთვის, ვისაც ამ ეტაპზე საკმაოდ გაუჭირდებათ ბანკიდან სესხის აღება გამკაცრებული პირობების გამო.

**ვისთვისაც სირთულეს არ წარმოადგენს მარტივი ბიზნეს-იდეა და განხორციელების გზების დაგეგმვა, „მიკროდაფინანსების" პროექტი საკმაოდ მოქნილი საშუალებაა თქვენი ოჯახის ეკონომიკური მხარის გაძლიერების და ფინანსური პრობლემებისგან თავის დასაღწევად. სცადეთ!**

თეა მოსია

### ინფორმაცია

## თურქული ჯეირნები, ამერიკული ფინანსებით ვაშლოვანში ისეირნებენ

**დღეს აშშ ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი ხაჩიძე და თურქეთის გარემოსა და მეტყევეობის მინისტრი ვეისელ ეროღლუ ერთად აღნიშნავენ ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიაზე შავყელიანი ჯეირნების შეყვანას.**

**შავყელიანი ჯეირნები ოდითგან ბინადრობდნენ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, იორის ჭიუხების გაყოლებაზე, რომელიც ბალახიანი ტერიტორიაა და აზერბაიჯანსა და თურქეთშიც გრძელდება. ჯეირნის პოპულაცია ასი წლის წინათ განადგურდა, რაც მათზე უკონტროლო ნადირობითა და მათი საარსებო ტერიტორიების საძოვრებად გამოყენებით იყო განპირობებული.**

**აშშ-ს მთავრობამ 33,000 აშშ დოლარი გამოჰყო ჯეირნებისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მოსაწყობად; თვით ჯეირნები კი თურქეთის მთავრობის საჩუქარია. პროგრამა ერთობლივად დააფინანსა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და აშშ-ს გარემოს დაცვის დეპარტამენტმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ მიმართვა

# თანადგომა...

## 2008 წლის 3 სექტემბრიდან მტკიცებულებების გარეშე ბრალეულ, ხოლო მიმდინარე წლის 27 ოქტომბრიდან ცილისწამებით დაპატიმრებულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟს

## ცოტნე გამსახურდიას

ბატონო ცოტნე,

საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლები უმორჩილესად გთხოვთ, სასწრაფოდ შეწყვიტოთ თქვენი ჯანმრთელობისათვის უკიდურესად საშიში საპროტესტო მშრალი შიმშილობა!

თქვენი სიცოცხლე არ გეკუთვნით მხოლოდ თქვენ, თქვენს ოჯახს, გვარს... ეიმედებით სრულიად საქართველოს ნამდვილი თავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლ მამულიშვილებს.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ მრავალდღიანი შიმშილობა, რაც კარგს არაფერს არ გიქადით.

გიცხადებთ თანადგომას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოჯახს, პირადად თქვენ და ვიმედოვნებთ, რომ ყურად იღებთ ჩვენს გულწრფელ თხოვნას!

პატივისცემით

**კოტე ჩოლოყაშვილი; მარიამ ლორთქიფანიძე; როინ მეტრეველი; ია-ბაგრატიონ-მუხრანელი; ელიზბარ ჯაველიძე; რეზო ჩხეიძე; ოტია იოსელიანი; რევაზ სირაძე; თემურ ქორიძე; ლევან ფრუიძე; ერეკლე საღლიანი; ირაკლი ჩოლოყაშვილი; ვალერი სილოგავა; ვაჟა შენგელია; ავთანდილ არაბული; ცისანა ტატიშვილი; ლაშა ბუღაძე; გოგი თოთიბაძე; რატი ამაღლობელი; რეზო არველაძე; ოთარ ჭითანავა; მანუჩარ მაჩაიძე; ზურაბ შარია; ირმა თევდორაშვილი; მანანა სოტკილავა; ბადრი ხურციძე; ბიძინა მახარაძე; მანანა ორბელიანი; ნიკო კენჭოშვილი; ოთარ გაბელია; შერმადინ ქალდანი.**

◎ პატივგება

# გია ჭანტურიას სულის მოსახსენიებლად



**15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი ჭანტურია ტერორისტული თავდასხმის შედეგად მოკლეს. გუშინ ქაშუეთის ეკლესიის ეზოში, სადაც დაკრძალულია გია ჭანტურია, მამა ელიზბარმა მისი სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. იქ მივიდნენ ახლობლები, მეგობრები და თანაპარტიელები, რათა კიდევ ერთხელ მიეგოთ პატივი უდროოდ დაღუპული იმედისმომცემი პოლიტიკოსისთვის.**

„გიორგი იყო ჩვენი თაობის სიმბოლო, რომელიც იბრძოდა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ქრისტიანული კულტურის შენარჩუნებისათვის. მას ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო და ხალხი. თავს არ იზოგავდა მათი კეთილდღეობისათვის, ამიტომ ეს არ აპატიეს. გიორგი არის გმირი, რომელმაც ღირსეულად ატარა ქართული დროშა იმ მეტად რთულ პერიოდში. ჩვენ, თანაპარტიელები, ვაგრძელებთ მის საქმეს და ვიბრძვით ეროვნულობის შესანარჩუნებლად, ჩვენს თანამემამულეებთან ერთად“, — განაცხადა ეროვნულ-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩახვაძემ.

**თინათინ ბორცვაძე**

◎ ინფორმაცია

## ჯერ სცემეს, შემდეგ „კარგად“ ექცეოდნენ

**ოთხშაბათს** გვიან ღამით შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ არასრულწლოვნებთან გასაუბრება გაიმართა.

ბავშვების თქმით, მათ დაკავების პირველ დღეს ფიზიკურად გაუსწორდნენ, თუმცა ამის შემდეგ აღარ შეხებიან.

გიორგი რომელაშვილისა და ალეკო ცაბაძის თქმით, ტყვეობისას მათ საკვებსა და საჭირო მედიკამენტებს აძლევდნენ.

ბავშვებმა განაცხადეს, რომ მათ იარაღი ზურგჩანთაში საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ჩაუდეს.

— ბრალად წაგვიყენეს „ლიმონკების“ ტარება. ჩანთაში ჩაგვიწყვეს, ჩვენ არ გვქონია იარაღი, — განაცხადა რომელაშვილმა.

— პირველად გვცემეს, მერე თითი აღარ დაუკარებიათ. დარჩენილ ორ ბიჭს ჯანმრთელობა აწუხებს, აწუხებთ ფილტვები, გული, ასევე ახველებთ, —განაცხადა ცაბაძემ.

მოზარდები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა მოინახულეს.

## სამთაწყაროს მგლები შეესივნენ

**დედოფლისწყაროს** რაიონის სოფელ სამთაწყაროს საძოვრებზე მგლები ისევ დათარეშობენ და ადგილობრივების საქონელს გლეჯენ.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტი იტყობინება დედოფლისწყაროდან, მტაცებლებმა სამი დღის წინათ სამთაწყაროში მცხოვრები მერი კილაძის ძროხა დაგლიჯეს. შეშინებული მოსახლეობა ზარალის თავიდან ასაცილებლად საქონელს საძოვარზე ველარ უშვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლისწყაროს რაიონის საზღვრისპირა სოფლებში მგლები საქონელს თავს ხშირად ესხმიან. ცოტა ხნის წინათ, მგლებმა სოფელ ფიროსმანში ადამიანებიც დაგლიჯეს.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ „ჯანსაღი“ კონკურენცია

# ექიმიც მე ვარ და პროვიზორიც!

**მთლად ასე არ უთქვამს ვაკეში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №22-ში განთავსებული „ავერსის“ აფთიაქარ ქალბატონს, რომლის გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, მაგრამ იმ უსიამოვნო საუბრიდან, რომელიც ჩვენ შორის გაიმართა, სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.**

ვიდრე ამ საუბრის შინაარსს შევეხებოდე, მინდა პატარა განმარტება გავაკეთო. საქმე ის გახლავთ, რომ პრეპარატი „ტალიზი“, რომელსაც ადგილობრივი ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პი“ უშვებს და რომელიც სააფთიაქო ქსელში თავისუფლად იყიდებოდა, ბოლო დროს „ავერსის“ აფთიაქებში რატომღაც გაქრა. არადა, წამლებს ყოველთვის „ავერსში“ ვიძენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას ყველაზე მეტად ვენდობი, და მეორეც — მედიკამენტებს, როგორც პენსიონერს, 10-პროცენტიანი ფასდაკლებით მაძლევენ. ჰოდა, ამ ასაკოვანმა კაცმა ვირბინე, ხან ერთ აფთიაქში შევედი, ხან მეორეში, მაგრამ, „ტალიზს“ ვერსად ვერ მივაგენი. პასუხი ყველგან ერთი და იგივე დამახვედრეს: „ტალიზი“ გაგვითავდა, ბატონო, თუ გნებავთ, მის შემცვლელს „სალოვერს“ შემოგთავაზებთ!

საინტერესოა, რატომ გახდა „ტალიზი“ დეფიციტური „ავერსის“ აფთიაქებში, ნუთუ „ჯი-ემ-პი“-მ მისი წარმოება შეწყვიტა? ცუდია ცუდი, აგერ წელიწადზე მეტია, „ტალიზით“ ვმკურნალობ და კმაყოფილი ვარ, ეს „სალოვერი“ კი არ ვიცი, რა ხილია! — ამ ფიქრით მივადექი ვაკეში ზემოთ დასახელებულ აფთიაქს. ჩემდა გასაოცრად, თეთრხალათიან ქალბატონს, რომელიც წამლებს იძლეოდა, არ უთქვამს, „ტალიზი“ არ გვაქვსო, მაგრამ...

— „ტალიზი“ გვაქვს, — მითხრა მან ღიმილით, — მაგრამ გირჩევთ მისი შემცვლელი „სალოვერი“ აიღოთ.

— არა, შემცვლელი არ მინდა, „ტალიზი“ მომეცით, — ვუთხარი გადაჭრით.

— ოჰო, ვერ გამიგია, რას უწუნებთ „სალოვერს“? — იუკადრისა თეთრხალათიანმა, — გეუბნებით ეს უკეთესი პრეპარატია, ვიდრე „ტალიზი“, თანაც იგივე ფასი აქვს.

— უკეთესია თუ უარესი, მე მას ვერ განვსაზღვრავ , — შევეპასუხე, — ჩემმა მკურნალმა ექიმმა „ტალიზი“ გამომიწერა და ის უნდა ვსვა.

— მე რა, თქვენი მტერი ხომ არა ვარ, პროვიზორი ვარ და უკეთეს პრეპარატს გირჩევთ.

— მტერი არა, მაგრამ არც ექიმი ხართ, — შევკადრე იძულებულმა, — თქვენ ალბათ იმიტომ მაძალებთ „სალოვერს“, რომ „ავერსის“ დამზადებულია.

— დიახ, „ავერსის“ დამზადებულია, თქვენ რა, „ავერსს“ არ ენდობით? — გაწიწმატდა, — თუ არ ენდობით, მაშ ამ „ენოზიდ H“-ს ჩვენთან რატომ ყიდულობთ?

— არა მარტო ვენდობი, მისი მადლიერიც ვარ, — პენსიონერებს წამლებს ფასდაკლებით გვაძლევს, რაც შეეხება „ენოზიდს“, თქვენს ქსელში მიმდინარე აქციის თანახმად, უკვე მეოთხე კოლოფს ვყიდულობ და მეხუთე საჩუქრად მეკუთვნის.

— აი, ხედავთ? — მითხრა ნიშნის მოგებით, — „ავერსის“ საჩუქარს სიამოვნებით იღებთ, მის გამოშვებულ წამალს კი იწუნებთ.

— კი არ ვიწუნებ, ქალბატონო, უბრალოდ იმ წამლებს ვსვამ, რომლებსაც ექიმი მიწერს. მითხარით, რამდენია გადასახდელი?

— 19 ლარი და 55 თეთრი.

— ფასდაკლებით არ იანგარიშეთ? მე ხომ პენსიონრის მოწმობა მოგეცით!

— ჯანდაბა! თქვენ იმდენი ილაპარაკეთ, რომ დამაბნიეთ. ქვითარი უკვე გამოვწერე და ველარ შევცვლი, იძულებული ვარ ფასსხვაობა ახლა მე გადავიხადო...

რაღას ვიზამდი, პროვიზორი უფრო მეტად რომ არ დაბნეულიყო, წამლები სასწრაფოდ ავიღე და აფთიაქიდან ნირწამხდარი გამოვედი.

მოვდიოდი და გზადაგზა ვფიქრობდი: მართლა მე დავაბნიე ავერსელი ქალბატონი თუ იმ არაჯანსაღმა კონკურენტულმა გარემომ, რომელიც დღეს სამკურნალწამლო ბაზარზეა გამეფებული? რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელმა, თორემ აფთიაქარს რა უნდა აიძულებდეს, პაციენტს იმ წამლის შემცვლელს სთავაზობდეს, რომელსაც თავად ავადმყოფი მოითხოვს? აფთიაქში რეალურად რომ არ იყოს ის პრეპარატი, რაც პაციენტს სურს, მაშინ, გასაგებია, პროვიზორმა მისი შემცვლელი შეარჩიოს, მაგრამ თუკი ორივე აქვს, მარჩიელობას რატომღა იწყებს? იმიტომ ხომ არა, რომ ამას საკუთარი ფირმის ინტერესები უკარნახებს?




გასაგებია, ყველაფერი გასაგები, აფთიაქარს სურს, სათავისო სარგებელი საშენოდ მოგაჩვენოს და თუ ამაში ეჭვი შეგეპარა, საჭიროების შემთხვევაში, პროვიზორმა თავი ექიმადაც კი წარმოიდგინოს. რამდენჯერ გავმხდარვარ მოწმე, როცა ავადმყოფი „ტაიქოლდს“ მოითხოვს, აფთიაქარი კი არჩევანს უწუნებს და „ეფექტი ფლუს“ აჩეჩებს, ან „კორვალოლის“ მაგიერ — მის შემცვლელ აბებს, რად გინდა წვეთების თვლაში დრო დაკარგო, აიღებ ერთ აბს და პირდაპირ გადაუძახებო(!ძ.

მოეშვი, რა შენი საქმეა? იქნებ ის ავადმყოფი სულაც წვეთების თვლით ერთობა და ეს სიამოვნება რატომ უნდა მოაკლო? არა, ყველაფერი მისი საქმეა. დღეს, როცა ხალხის დიდ მასას ექიმთან მკურნალობის სახსრები არ გააჩნია და პირდაპირ აფთიაქებს აწყდება, პროვიზორები უკვე „შეეგუენ“ იმას, რომ ექიმის ფუნქციაც იტვირთონ და პროვიზორისაც. თანაც თუ მის კომპანიას ფარმაცევტული საწარმოც აქვს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მისი წამლების გასაღებას შეეცდება.

ასეა დღეს საქართველოში და ეს ყველაფერი „ნორმაში ჯდება“. მონოპოლისტი კომპანიები „ავერსი“ და „პსპ“, იმის მაგივრად რომ ერთმანეთს წამლებზე ფასების შემცირებაში შეეჯიბრონ, საკუთარი წამლების გასაღებაში ექიშპებიან. მათ საკუთარი სადისტრიბუციო და საააფთიაქო ქსელის პარალელურად დივერსიფიცირება განახორციელეს ფარმაცევტულ მრეწველობაში, ჰოსპიტალურ სექტორში და ახლა სადაზღვევო სექტორსაც ეპოტინებიან, რაც, ექსპერტთა აზრით, ყოვლად გაუმართლებელია. ხდება მათ შორის გარიგებებიც, რაც სამომხმარებლო ბაზარს უფრო აძვირებს და ისედაც ღატაკ ხალხს კუდის რიკამდე ტყავს აძრობს.

ქართულ ჯანდაცვაში სერიოზული კრიზისია — იგი არც სოციალურად სამართლიანია და არც ხარისხიანი და უსაფრთხო. ვინ სარგებლობს ამ კრიზისით, ესეც ცხადზე უცხადესია.

**ოთარ ხუციშვილი**

**პოლიტიკური ლექსიკონი**

# ვინ არის აგრესორი



**აგრესია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თავდასხმას. თითქოსდა ყველაფერი გასაგებია, ე. ი. ვინც პირველი ესხმის თავს სხვას ან სხვებს, ის უნდა ითვლებოდეს აგრესორად. მაგრამ, მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, ამ სიტყვის ეტიმოლოგია დღემდე საკამათოა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტები, რომ „აგრესორის“ მნიშვნელობის დასადგენად მრავალჯერ გაიმართა კამათი ერთა ლიგაში, გაეროს ასამბლეებზე და საერთაშორისო კონფერენციებზე.**

სახელმწიფო აგრესორად მიჩნეულია შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. იგი ითვლება უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებმა. ამიტომ აგრესორ სახელმწიფოებს ეკისრებათ საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო აგრესიის მომზადებაში და განხორციელებაში ბრალდებულ პირებს – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამიტომ სახელმწიფოები, ყოველთვის, დიდ ძალისხმევას მიმართავდნენ იმისათვის, რომ მათთვის აგრესორი არ ეწოდებინათ.

ასე იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც დაისვა კითხვა „ვინ არის დამნაშავე?“ გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში დაიწყეს პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების მომზადება და გამოცემა, რომელთა მთავარი მიზანი თავიანთი ქვეყნისათვის ომის გაჩაღებაში ბრალდების აცილება იყო. ამ გამოცემებს ჩვენს ბიბლიოთეკებში შეიძლება გაეცნოს მკითხველი. ამის მიუხედავად, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ომის გაჩაღებაში მთავარ დამნაშავედ გერმანია იყო გამოცხადებული, მხედველობაში არ იღებდნენ სხვა თვალსაზრისს, მათ შორის ცნობილი ისტორიკოსის, აკადემიკოს ე. ტარლეს მოსაზრებას, რომლის მიხედვით პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში მთავარი დამნაშავე გერმანიასთან ერთად რუსეთი იყო. ე. ტარლეს ამ „შეცდომას“ მეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებს ვერ უპირისპირებდნენ და ჩვეული მეთოდით – „რევოლუციამდელი ტარლეს არასწორი მსოფლმხედველობით „ხსნიდნენ“.

აგრესიისა და აგრესორის განსაზღვრაში ჯერ კიდევ ბევრი საკამათოა, მაგრამ მასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით პირველ გასროლას და პირველად ომის გამოცხადებას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე შეიძლება ითქვას პირველად ომის გამომცხადებელ სახელმწიფოს მიმართაც. ამიტომ ომის გაჩაღებით დაინტერესებული სახელმწიფოს მესვეურები ცდილობენ მოწინააღმდეგე მიიყვანონ იმ მდგომარეობამდე, როდესაც ადამიანები არა გონებით, არამედ ინსტიქტებით მოქმედებენ. ამის კლასიკური მაგალითია ე. წ. „ემრის დეპეშა“, რასაც საფრანგეთ-გერმანიის 1870-1871 წწ. ომი მოჰყვა.

თითქმის ყველა საცნობარო ლიტერატურაში აგრესორად მიჩნეულია ის სახელმწიფო, რომელიც პირველი ესხმის თავს მეორე სახელმწიფოს. ამიტომ აგრესიის მსხვერპლისადმი სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს, სამხედრო დახმარება სავსებით კანონიერადაა მიჩნეული იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სამხედრო დახმარება შეტევით საომარ მოქმედებაში გადაიზრდება.

პირველი გასროლისა და აგრესორის ბრალდებისაგან თავის დაღწევას ჰიტლერიც ცდილობდა, როდესაც პოლონეთზე თავდასხმის დრო არაერთხელ შეცვალა.

პირველი გასროლის გამო, გაერომ, 1967 წელს, ისრაელ-არაბულ სახელმწიფოების ომში ისრაელი გამოაცხადა აგრესორად და მის წინააღმდეგ უშიშროების საბჭომ რეზოლუციაც მიიღო, არადა ამავე უშიშროების საბჭოს ისრაელმა წარუდგინა ომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერისა და იორდანიის მეფის ჰუსეინის სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერი, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ისინი ისრაელზე თავდასხმას აპირებდნენ. აი, ასეთი ეფექტი აქვს პირველ გასროლას.

არა მხოლოდ აგრესორის განსაზღვრისათვის, არამედ, საერთოდ, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტისა და პრესტიჟის მოპოვებისათვის. ამიტომ ქვეყნის მესვეურები დიდ ყურადღებას აქცევენ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებისათვის მიღებული ნორმების დაცვას. სწორედ ამიტომ, მაშინაც კი, როდესაც ძალიან უჭირდა, ჰიტლერმა უარი თქვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენებაზე (მცირე რაოდენობით ყირიმში გამოიყენეს იმისთვის, რომ კატაკომბებიდან პარტიზანები გამოედევნათ).

სახელმწიფო პოლიტიკის ასეთ საკითხებზე ჩვენთან ყურადღებას არ ამახვილებდნენ, ვინაიდან დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ვიყავით, და ამ მხრივ არც არავინ არაფერს არ გვეკითხებოდა. ახლა, როდესაც დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე გვაქვს პრეტენზია, მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო სამართლის საკითხების შესწავლას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში წაგებულმა ომებმა ნათლად გვიჩვენეს ის, თუ როგორ შეიძლება შენს სასარგებლოდ გამოიყენო მაგალითები სხვა ქვეყნების ისტორიიდან „საკუთარი ხალხის წინ ფეხის წადგმისათვის“. ამ მაგალითების არცოდნით იყო განპირობებული ის გაუაზრებელი და უპასუხისმგებლო განცხადებები, რომლებსაც დიდი სიამაყით აკეთებდნენ ჩვენი დიპლომატები (ქალად დიპლომატები: რეჟისორები, მწერლები...): აფხაზეთის პრობლემას ჩვენ საერთაშორისო რეზონანსი მივეცითო.

როდესაც სახელმწფო თავის შიდა პრობლემებს თვითონ დამოუკიდებლად ვერ წყვეტს და დახმარებისათვის სხვა სახელმწიფოებს უხმობს, ეს მის სისუსტეზე და უუნარობაზე მეტყველებს და არა მის დიპლომატიურ წარმატებებზე. გინახავთ ან გაგიგონიათ სადმე, რომ დიდი, ძლიერი სახელმწიფოები თავის ქვეყანაში არსებულ სეპარატისტული ძალების მეთაურებთან ერთად საზღვარგარეთ, დაინტერესებული სახელმწიფოების წარმომადგენლების თანდასწრებით განიხილავდნენ სეპარატიზმთან დაკავშირებულ საკითხებს? ალბათ, არა. იმიტომ, რომ მათ კარგად იციან, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

XIX საუკუნის დასაწყისში ლათინური ამერიკის ხალხებმა გააძლიერეს ბრძოლა ესპანეთის კოლონიური უღლისგან განთავისუფლებისათვის. მათ ამ ბრძოლაში აქტიურად უჭერდა მხარს დიდი ბრიტანეთი, რომელსაც სურდა სამხრეთ ამერიკიდან ესპანეთის გაძევება და აქ თავის გავლენის სფეროების გაფართოება. იგი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს მოუწოდებდა ესპანეთთან სადავო საკითხები საერთაშორისო მოლაპარაკებების გზით გადაეწყვიტათ. ესპანეთი იძულებული გახდა ამ მოთხოვნაზე დათანხმებულიყო, რასაც შედეგად ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარება და ამ ქვეყნებზე ინგლისის გავლენის ზრდა მოჰყვა. ვიმეორებ: სახელმწიფომ უნდა შეძლოს თავისი შიდა პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარება! ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის მეთაურმა საკუთარ ხალხს ომი გამოუცხადოს.

1642 წელს, ინგლისში, სამოქალაქო ომის დროს, მეფე ჩარლზ I იძულებული გახდა ომი გამოეცხადებინა არა მისი მოწინააღმდეგე ინგლისელებისათვის (მაშინ ის ვისი მეფე იქნებოდა?), არამედ მხოლოდ მისდამი დაპირისპირებული ძალების სამხედრო სარდლის – გრაფი ესექსისათვის. რა თქმა უნდა, ეს იყო ფორმალობა, მაგრამ აუცილებელი ფორმალობა.

ჩვენ და საერთაშორისო საზოგადოება ვსაყვედურობთ პრეზიდენტ სააკაშვილს არა იმის გამო, რომ მან განიზრახა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა სამაჩაბლოში (კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვა მისი პირდაპირი მოვალეობაა), არამედ იმიტომ, რომ ის არაადეკვატური ძალის გამოყენებით შეეცადა სეპარატისტების დამორჩილებას, რომ მან არ მოამზადა საომარი მოქმედებები არც სამხედრო, არც დიპლომატიური, არც ეკონომიკური და არც პროპაგანდისტული თვალსაზრისით. შედეგიც სათანადო მივიღეთ: დაკარგული ტერიტორიები და ათობით სოფელი, ასობით დახოცილი ადამიანი, ათასობით ლტოლვილი და ა. შ.

ომს ქუჩის გარჩევების დონეზე ვახ ტო, ჩემი დედა... ბიჭები არ უნდა იწყებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ კურიოზულ ფაქტებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. რვა აგვისტოს, გამარჯვებაში დარწმუნებული სააკაშვილი ტელეეკრანებიდან, გაბადრული სახით გვაუწყებდა: აი, სად მიდიოდა ის ფული, რომელსაც ჩვენი ოპოზიციონერები გვედავებოდნენო (ვითომ ხომ ხედავთ, რა ჯარი შევქმენიო), ანდა პრეზიდენტის კამარილიის განცხადებები – რუსეთი ამ ომში არ ჩაებმებაო და ა. შ.

აგვისტოს ომის შედეგებზე როცა ვსაუბრობთ, განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირთაგან არავინ, მათ შორის პრეზიდენტი, არ აღიარებს თავის შეცდომებს და დანაშაულს. ჩადენილი დანაშაულის ან შეცდომის აღიარება იმის იმედს მაინც ჩაგვისახავს, რომ შემდგომში იგი არ განმეორდება. დანაშაულის აღიარება კი არა, ომში დამარცხების გამარჯვებად წარმოდგენა სურთ. ეს კი უკვე მეტისმეტია, ეს სიგიჟეა. გიჟი კი ყოველგვარი შემზღუდავი ნორმებისაგან თავისუფალია. წარმოიდგინეთ, ასეთი „თავისუფალი“ პიროვნებები ქვეყნისათვის რა საშიში იქნება.

როდესაც საფრთხე სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და უშიშროებას ეხება აუცილებელია, ყველანაირი საშუალების, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენება. მაგრამ ეს ძალა ჭკუა-გონებით უნდა იქნას გამოყენებული და არა ინსტიქტების კარნახით. ამ შემთხვევაში სამხედრო ძალით პრობლემის გადაწყვეტას აგრესიად არავინ არ მიიჩნევს.

**ვაჟა თვალავაძე**

**მეზობლებთან**

# რუსეთი არასდროს არ თავდება – ბუნება დასდგომია თავდებად...

**ბოლო ათ წელიწადში რუსეთის ტერიტორიამ ზომებში თურმე ოთხნახევარი კვადრატული კილომეტრით მოიმატა, თანაც პოლიტიკოსებსა და სამხედროებს კი არ გაუზრდიათ მშობლიური მიწები, არამედ სტიქიის აბობოქრება-თავაშვებას.**

რუსეთელი სწავლულების მტკიცებით, სახალინზე მიწისძვრათა სერიამ ზღვის ფსკერის ნაწილს ამოწევა აიძულა. მაგალითად, 2007 წლის მიწისძვეშა ბიძგების შემდეგ ამოიმართა ყველაზე დიდი უბანი – 300 ჰექტარამდე.

კურილის კუნძულებმა ნაკლები სიურპრიზი როდი მოამზადეს: ისინიც იზრდებიან ამოხეთქვათა მერე, როგორც თუნდაც მატუას კუნძული, სადაც სარიჩევის პიკზე მილიონობით ტონა ქანი ამოუტყორცნია ვულკანს. ეგ კიდევ რაა – კურილის კუნძულთა წყება, ისევ მეცნიერთა შეტყობინებით, დამაჯერებლად მოძრაობს რუსეთის სანაპიროსკენ – სახალინისკენ. ეს ხდება იაპონელთა შესაშურად, რომლებიც, როგორც ცნობილია, ოცნებობენ რუსეთისათვის სამხრეთ კურილების წაგლეჯვაზე (თუ რუსეთისაგან დაბრუნებაზე).

ის კია, რომ კუნძულები ნელა, აუჩქარებლად მოძრაობენ დედილო რუსეთისაკენ: ყოველ მათგანზე დადგმულ ხელსაწყოთა ჩვენებით ისინი მიცოცავენ წელიწადში... 18 (თვრამეტი!) მმ-ის (მილიმეტრის!) სიჩქარით; ანუ რუსეთიდან ხელის გაწვდენაზე იქნებიან... ათეული თუ ოცეული მილიონობით წლის მერე; მაშინაც იტყვიან იაპონელები – მაგათი არ არისო?..

...ჩვენში რომ ვთქვათ, რუსეთს კიდევ ტერიტორიები უნდა, როცა რაცა აქვს იმისთვისაც (ყველასთვის) ვერ მოუვლია, საჭირო რომაა, ისე? აი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი, გაგიხარიათ, უვლის და მოუვლის...

...ნეტავ აქაც, საქართველოშიც აბობოქრდებოდეს, აიწყვეტდეს სტიქია, ოღონდ ისე, რომ ამდენი დაკარგული მიწა დაგვიბრუნდებოდეს. ბედი უნდა ყველაფერს!..

**თამაზ ებანოიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის სამხედრო ექსპერტს ასამართლებენ



**თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს სამხედრო ექსპერტის, მეცნიერების დოქტორის ვახტანგ მაისაიას საქმის მოსმენა. მას ბრალი ედება ჯაშუშობაში რუსეთის სასარგებლოდ. როგორც იტყობინებიან, მაისაია შუამავლების დახმარებით გადასცემდა რუსეთის მხარეს საიდუმლო ინფორმაციას და შარშანდელი აგვისტოს ომის დროს ატყობინებდა მოსკოვს საქართველოს არმიის პოზიციის შესახებ.**

დაკავებულმა აღიარა თავისი დანაშაული. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა შესაბამისი ვიდეოგადაღება.

შეგახსენებთ, რომ 6 მაისს, როდესაც მაისაიას დაკავებას უკეთებდა კომენტარს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კერძოდ აღნიშნა, რომ სამხედრო ექსპერტი „რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის უშიშროებას". „რა ღირს თუნდაც ის, რომ შარშან აგვისტოს ომის დროს ყოველ საათ-ნახევარ-ორ საათში, იგი კი ამას ადასტურებს, გადასცემდა ქართული არმიის პოზიციას ჩვენს მტერს, რათა მოწინააღმდეგეს შესძლებოდა მოენახა ჩვენი ნაწილები და უკეთესად დაებომბა ისინი", – თქვა სააკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ „ამ კაცს აქვს სოლიდური მეცნიერის სახე". საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „მეცნიერი" მუშაობდა თავისი ქვეყნის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც იყო „პირდაპირი დაპირისპირება მოწინააღმდეგესთან და აკეთებდა ყველაფერს, რომ ჩვენი არმია განადგურებულიყო და ჩვენი დედაქალაქი დაბომბილიყო". დაკავებულმა, ამბობს სააკაშვილი, აღიარა, რომ ყველაფერს ამას აკეთებდა შეგნებულად, ფულისთვის.

РОСБАЛТ



# ორი მოზარდი ხუთ დიდში გაცვალეს

**საქართველომ გუშინწინ გაათავისუფლა სამხრეთ ოსეთის ხუთი მცხოვრები, რომლებიც დაკავებული იყვნენ აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო-ოსეთის საზღვარზე. ეს იყო ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების კომისრის თომას ჰამერბერგის მისიის შედეგი. მაგრამ თბილისის ვარაუდი, რომ სანაცვლოდ სამხრეთ ოსეთი გაათავისუფლებდა ციხიდან ოთხ ქართველ მოზარდს, რომლებიც ერთი თვის წინათ დააკავეს, გამართლდა მხოლოდ ნაწილობრივ: გათავისუფლდა მხოლოდ ორი.**

სამხრეთ ოსეთში დაბრუნებული პავლე ტეხოვი, იაკობ ტეხოვი, ვადიმ ელოევი, იბრაგიმ ლალიევი და ლავრენტი კაზიევი თავიანთი დაკავების მთელი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქალაქ გორში. „ეს ხალხი დააპატიმრეს რამდენიმე თვის წინათ. შემდეგ ისინი ოფიციალურად გაათავისუფლეს (4 აგვისტოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით), მაგრამ გაურკვეველი მიზეზის გამო დაკავებული ჰყავდათ კერძო სახლში, – გვითხრა ქართველმა კონფლიქტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა. – მათ წინააღმდეგ მოქმედებდნენ აბსოლუტურად უკანონოდ და, ბუნებრივია, ოსური მხარე აყენებდა საკითხს მათი გათავისუფლების შესახებ".

თავის მხრივ თბილისი მოითხოვდა, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ციხიდან გაეთავისუფლებინა ოთხი მოზარდი, რომლებიც 4 ნოემბერს დააპატიმრეს. ისინი დააკავეს, როდესაც მიდიოდნენ ოსური სოფლის ხეითის მიმართულებით. მოზარდებმა განაცხადეს, რომ მიდიოდნენ ნათესავების სანახავად. მათ მიუთითეს ორმო სოფლის მახლობლად, სადაც ინახავდნენ ტომარას პროდუქტებით, რომელშიც აღმოჩნდა ყუმბარები და ტროტილი. სამხედრო მასალების დანიშნულების განმარტება მოზარდებმა ვერ შეძლეს. მათ განაცხადეს, რომ მიჰქონდათ მხოლოდ საჭმელი და არ იციან, საიდან გაჩნდა ტომარაში ასაფეთქებელი ნივთიერება. დაკავებულთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონოდ შენახვის ფაქტზე და საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო.

ქართველი მოზარდების დაპატიმრებამ თბილისში დიდი აღშფოთება გამოიწვია. „ასაფეთქებელი ნივთიერება და ყუმბარა, რასაკვირველია, ჩაუდეს, ჩვენებები კი მოიპოვეს დაშინებებით! – აღშფოთებით ლაპარაკობდა საქართველოს პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე. – ცხადია, რუსეთი, რომლის მითითებითაც მოქმედებენ მისი მარიონეტები, ცდილობდა გაემწვავებინა სიტუაცია და პასუხისმგებლობა საქართველოსთვის დაეკისრებინა".

Коммерсантъ

# კიევს და თბილისს მაპს კვლავ ჰპირდებიან

**როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, ბრიუსელში 28 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე დადებით შეფასებას მისცემენ უკრაინისა და საქართველოს მოქმედებებს ნატოს წევრობასთან დაკავშირებით და კვლავ დაადასტურებენ მათს პერსპექტივას, გახდნენ ალიანსის წევრები.**

როგორც ცნობილია, კიევმა და თბილისმა განაცხადები მაპის მოპოვების შესახებ შეიტანეს ჯერ კიდევ შარშან, მაგრამ მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. დეკემბერში ნატოს წევრ სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებმა მოიწონეს უკრაინასთან და საქართველოსთან ურთიერთობის ახალი ფორმატი ეგრეთ წოდებული ეროვნული პროგრამების ჩარჩოებში.

იმის შესახებ, რომ საქართველოს და უკრაინას შეუძლიათ გახდნენ ალიანსის წევრები, თუ დააკმაყოფილებენ ყველა აუცილებელ კრიტერიუმს, ნატოს გენერალური მდივანი აცხადებდა ადრეც – კერძოდ, სააკაშვილთან შეხვედრის დროს სექტემბერში. რასმუსენმა მაშინ შეხვედრას „კონსტრუქციული" უწოდა და დაადასტურა, რომ ნატოს პოზიცია საქართველოსთან თანამშრომლობის საკითხში უცვლელი რჩება".

Утро.ru **ანდრეი გუდმანი**

## ევროპის ახალი ერა

# ჩემპიონი და ბარონესა – ქორწინება უნებლიეთ

**მოხდა, როგორც ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი გვარწმუნებს, ისტორიული მოვლენა – ევროკავშირმა მიიღო მუდმივი პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი. ევროპა ახალ ერაში შევიდა.**

ვინ გახდნენ დღევანდელი ევროპის „მთავარი მანდარინები"? ბელგიის სამეფოს უთავმდაბლესი და უწყნარესი პოლიტიკოსი, „კომპრომისის ჩემპიონი", საფრანგეთ-გერმანიის კანდიდატი ჰერმან ვან რომპეი, რომელმაც თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ თავისი ძაღლი სასეირნოდ გაიყვანა.

და ბრიტანელი ბარონესა ლედი ეშტონი, რომელიც ბრიუსელში სხვა საქმეზე ჩავიდა – მას უნდა შეეცვალა ევროკავშირის კომისარი ვაჭრობის დარგში, რომელიც ვადამდე ლონდონს გაემგზავრა. ბარონესას მივლინება ბრიუსელში სასწაულით დასრულდა – დიპლომატიური გამოცდილების სრულიად უქონელი და უცხო ენების უცოდინელი ბარონესა სათავეში ჩაუდგა ევროსაბჭოს საგარეო-პოლიტიკურ საქმეს.

ახლად დანიშნული ორივე დიდი ჩინოვნიკი ერთ რამეში ჰგვანან ერთმანეთს – არც ერთს აბსოლუტურად არ გააჩნია რაიმე ქარიზმა.

ვან რომპეის ნამდვილ ღირსებას უნდა მიეწეროს მისი მრავალი ენის ცოდნა. სამუშაოსგან თავისუფალ დროს იგი არის პოეტი იაპონური ჰაიკის ჟანრში და გაქანებული ბლოგერი. ბარონესას კი შეუძლია წარმოთქვას სიტყვები ქაღალდების გარეშე, თავისუფლად და დაძაბვის გარეშე გამოიყენოს რთული მიმოქცევები ხისმაგვარ ჩინოვნიკურ მეტყველებაში.

ორივე მოღვაწის განკარგულებაში ახლა შედის – ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა. ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ამზადებს სამიტებს უმაღლეს დონეზე და წარმოადგენს ევროკავშირს მის ფარგლებს გარეთ სახელმწიფოებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა დონეზე. უმაღლესი წარმომადგენელი აწარმოებს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, კოორდინაციას უწევს წევრ ქვეყანათა ძალისხმევას ამ დონეზე. გაისად უნდა მოხდეს ახალი სტრუქტურის – საგარეო მოქმედებათა ევროპული სამსახურის, ევროკავშირის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩამოყალიბება. ეს გონივრული სახელწოდება მოიფიქრეს იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი გადაკვრით ნათქვამი იმაზე, რომ ევროკავშირი შეიძლება შევიდეს კონკურენციაში ეროვნულ მთავრობებთან საგარეო-პოლიტიკის დარგში.



მაგრამ დასახელების კურტუაზულობა (თავაზიანობა) ხელს როდი უშლის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მაღალ წარმომადგენლობას ერთ ხელში მოუყაროს თავი დიდ ხელისუფლებას. ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური ინიციატივა ამჟამად არა მხოლოდ მისი უფლებაა, არამედ მოვალეობაც.

წმინდა ჰერმანი, როგორც მას ხუმრობით მისი თანამემამულენი უწოდებენ, როდესაც მხედველობაში აქვთ მისი განზრახული თავმდაბლობა, ბელგიაში ცნობილია როგორც „მფარველი" და „გამტარებელი", მაგრამ არა ნოვატორი და ინიციატორი. დანიშვნიდან პირველსავე წუთებში მან, როგორც ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა, მოასწრო უარეყო სურვილი, ჰქონდეს საკუთარი აზრი რომელიმე საკითხზე: ის მხოლოდ საერთო პოზიციის გამომხატველი და თავმჯდომარეა, მეჯლისის განმკარგავი, სადაც მართავენ სხვები.

ვან რომპეის დანიშვნა ბევრმა ბელგიელმა ანალიტიკოსმა აღიქვა, როგორც ბელგიის ორივე – ფლამანდური და ვალონური – სათემოსადმი პატივისცემის ნიშანი: თქვენთვის ხელსაყრელია ბელგიის ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება, არ არის საჭირო სეპარატიზმი. ყველასთვის კვლავ თვალში საცემია წევრი ქვეყნების ინტერესების ბალანსირების პრინციპებიდან უკანდახევა – ბელგია სხვებთან შედარებით აშკარად უფრო მდიდარია.

რაც შეეხება ბარონესა კეტრინ ეშტონს, ან კეტის, როგორც მას კოლეგები უწოდებენ, მას ვალდებულებად ეკისრება „ინიციატივების წამოწყება".

ბრიტანელი ქალის აღზევება ევროპული დიპლომატიის ხელმძღვანელად, ნიშნავს აქცენტების სრულ შეცვლას გლობალურ პოლიტიკაში. ეგრეთ წოდებული დასავლეთი, როგორც ცნობილია, შედგება ევროპის განვითარებული ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. მაგრამ ახლა ატლანტიკის ორივე მხარეს საგარეო-პოლიტიკას წარმართავენ ანგლოსაქსები. ცხადია, დიდი ბრიტანეთი ახლა არა მხოლოდ არ დატოვებს ევროკავშირს, როგორც იმუქრებოდა, არამედ დაიწყებს მის ძერწვასა და მშენებლობას თავისი შეხედულების მიხედვით. ასე რომ, ახლა აღარ მოგვიწევს ველოდოთ მოძრაობას ევროპის ნატოსგან დამოუკიდებელი დაცვის შექმნის მიმართულებით, რის შესახებაც ხშირად ლაპარაკობდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. პირიქით, ბრიტანელი მანდილოსნის ხელმძღვანელობით ევროპის კავშირი ნატოსთან, რასაც მართავენ ამერიკელები, მხოლოდ გამყარდება.

ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკის „გაინგლისურება- კვლავ გაართულებს ურთიერთობას მუსლიმანურ სამყაროსთან, სადაც არავის დავიწყნია და არც უპატიებია ლეიბორისტებისთვის მათი მხურვალე მხარდაჭერა პრეზიდენტ ბუშის გადაწყვეტილებისა ერაყში შეჭრის შესახებ. ბარონესა არ ეკუთვნოდა შეჭრისა და ოკუპაციის მოწინააღმდეგეებს.

უნდა ველოდოთ ევროკავშირის „გაინგლისურებას" რუსეთთან დამოკიდებულებაშიც, რაც არაფერ სიკეთეს არ გვპირდება – ჩვენი ურთიერთობა ინგლისთან ცნობილია. ევროსაბჭოს საგარეო-პოლიტიკური აქტივობა გაძლიერდება ყველა ტრადიციული „ბრიტანული" მიმართულებით: „აღმოსავლური პარტნიორობის" გაძლიერება მისი აშკარა ანტირუსული მიმართულებით, ევროკავშირისა და ნატოს შემდგომი გაფართოება აღმოსავლეთით, ბალკანეთის ინტეგრაცია.

გართულდება რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობა თავად ფონი, ვინაიდან გრადუსებით ავარდება რუსეთის კრიტიკა სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

თუმცა შეიძლება ჩვენთვის ხელსაყრელიც აღმოჩნდეს შინაგანი დაპირისპირება ევროკავშირში. განხეთქილება წმინდა ჰერმანისა და ბარონესას ალიანსში უკვე შეიმჩნევა: პირველი თურქეთის ევროკავშირში შესვლის აშკარა მოწინააღმდეგეა, მეორე – გაფართოების მხურვალე მხარდამჭერი. პირველი – ფრანგულ-გერმანული ინტერესებისა და ტრადიციების გამომხატველია, მეორე – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური ამბიციებისა.

ევროპის მომავლის ამ ორი დაპირისპირების შერიგება, ვფიქრობ, არ ეხელმწიფება არც „კომპრომისის ჩემპიონს", არც ბარონესას.

Литературная газета **ანია ვედენსკაია**

## დედამიწის ზურგზე



**აფხაზეთმა ოფიციალურად მიმართა ეკვადორს თხოვნით, აღიაროს მისი დამოუკიდებლობა**

ვიზიტით ქვეყანაში მყოფმა აფხაზეთის დელეგაციამ გადასცა ოფიციალური წერილი ეკვადორის პრეზიდენტის რაფაელ კორეას სახელზე თხოვნით მისი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, აგრეთვე მთელი რიგი მასალები აფხაზეთის ისტორიისა და საქართველოსთან კონფლიქტის ისტორიის შესახებ. ეკვადორის მხარე „გულდასმით სწავლობს" წარდგენილ მასალებს.



* * *

**ჰონდურასის პარლამენტმა პრეზიდენტ სელაიას ხელისუფლების სათავეში მოსვლის წინააღმდეგ მისცა ხმა**

ეროვნული კონგრესის 128 დეპუტატიდან 83-მა სელაიას აღდგენის წინააღმდეგ მისცა ხმა. მან კენჭისყრის შედეგებს „ერისთვის სამარცხვინო უწოდა". სელაიამ გამოთქვა აზრი, რომ „ისტორია გაასამართლებს" პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომელმაც, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა 28 ივნისის პუტჩს, რის შედეგადაც გადააყენეს კანონიერი პრეზიდენტი.



* * *

**მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქრონიკული დაღლილობის მიზეზი**

გამოკვლევის დროს დადგინდა, რომ იმ ადამიანების სისხლში, რომლებიც ასეთი სინდრომით არიან დაავადებულნი, არის ვირუსი, რომელიც ცნობილია, როგორც XMRV. ვირუსი ასუსტებს და ქანცავს ადამიანის იმუნურ სისტემას. აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს, დაღლილობა ჩავთვალოთ ავადმყოფობად და ვუმკურნალოთ მას.

* * *

**ინდოეთში სასკოლო ავტობუსი ხევში ჩავარდა: დაიღუპა 12**

ინციდენტი მოხდა ტამილ ნადუს შტატში, რომელიც ქვეყნის სამხრეთითაა. არ არის გამორიცხული, რომ მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდოს. სულ ავტობუსში დაახლოებით 25 კაცი იმყოფებოდა. ზოგიერთმა მოსწავლემ მსუბუქი დაზიანება მიიღო.

* * *

**აფეთქება სამხრეთ კორეის პოლიგონ პოჩხონში: ერთი დაიღუპა, ხუთი დაიჭრა**

აფეთქება მოხდა იმ დროს, როდესაც თავდაცვითი განვითარების სახელმწიფო სააგენტოს სპეციალისტები ცდიდნენ ბომბის ახალ სახეობას. საბრძოლო მასალის ტიპი ჯერჯერობით უცნობია.

ათი წლის მონაგარი

# რითი ჰგავს გური ოტობაია რაბინდრანატ თაგორს...

**აქამდე ქართველი მკითხველი გური ოტობაიას რომანებითა და პუბლიცისტური წერილებით იცნობდა. მართალია, მან გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი, მაგრამ ამის შემდეგ კანტიკუნტად თუ გაიელვებდა მისი პოეტური სტრიქონები ქართულ პერიოდიკაში, როგორც თვითონ გვითხრა, ის ლექსები წიგნადაც კი არ აკინძულა, უფრო მხატვრულმა პროზამ გაიტაცა.**



და აი, ჩვენი მეგობარი გური მოვიდა იმ დღეს რედაქციაში და მოულოდნელობისგან, რომ იტყვიან, პირი დაგვაღებინა, ულამაზესად გამოცემული მოზრდილი წიგნი „ჰოუნანა“ დაგვიდო წინ, რომელშიც შესულია – ლექსები, ბალადები და ეპიკური პოემა „ოდოია“. ეს ყველაფერი მეგრულად დაუწერია გურის და იქვე მისივე ქართული თარგმანი მოსდევს ტექსტს.

**– დიდი შრომა გაგიწევია, ძმაო,** – ვეუბნები გურის.

– 1999 წლიდან ვმუშაობ ამ წიგნზე, ძირითადად კი ეპიკურ პოემა „ოდოიაზე“, რომელშიც მე ვცადე გამეცოცხლებინა საქართველოს წინა პერიოდი... დიდი ივანე ჯავახიშვილი, რა გასაკვირია, უაღრესად კეთილსინდისიერად მოექცა კოლხეთის თემას და საინტერესო ნაშრომიც მიუძღვნა, რაც საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველო იყო კოლხეთი, ხოლო აღმოსავლეთი – იბერია. თუმცა ისტორია ისტორიად და მე შევეცადე მხატვრული სიტყვით, პოეზიის ენით შევხმიანებოდი კოლხეთის დიდ წარსულს. პოემაში ეს გაცოცხლებულია მთავარი გმირის ოდოიას (აქამდე რომ შრომის სიმღერადაა მიჩნეული) ხილვებითა და სხვადასხვა ლიტერატურული ხერხებით... ერთმა მომენტმაც მიბიძგა: არ გაგვაჩნდა ბერძნულ სამყაროსთან ქართული ცივილიზაციის შეხების არანაირი ლიტერატურული ფაქტი, თუ არ ვიგულისხმებთ ბერძნულ მითოლოგიას.

პოემაში გაცოცხლებულია ტროა, მისი შეხება კოლხურენოვან სივრცესთან, ოქროს საწმისის საიდუმლოს გასაღების ძიება. აქ, შეძლებისდაგვარად, დახატულია ხალიბებისა და ჰალიძონების, კარდუხებისა და ჰენიოხების, პელაზგებისა და კორიბანტების, მარგალებისა და ქართუშების – ზოგადად პროტოქართული მიდგომის ზღვის ხალხის სულიერი სივრცე...

**– კი, მაგრამ, მაინცდამაინც მეგრულად უნდა დაგეწერა?**

– პირველად არ ვწერ ლექსს მეგრულად. 1979 წელს, ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა რომ დაბეჭდა ჩემი ლექსები „ცისკარში“, მაშინ არავინ იცოდა, რომ ეს ლექსები მეგრულიდან მქონდა თარგმნილი სალიტერატურო ქართულზე.

**– რატომ, კაცო, რატომ წვალობდი?**

– მიმაჩნია, რომ მწერალმა იმ ენაზე უნდა წეროს, რასაც დედის „იავნანიდან“, ბავშვობიდან ეზიარა, მე მეგრულმა ენამ გამზარდა, ჩემი ფორმირება მოხდა მეგრულენოვან სივრცეში, ბევრ ისეთ ნიუანსს მაზიარა, რომელიც სალიტერატურო ქართულში ხშირად არ მხვდება, ამიტომ ვსინჯე მეგრულადაც... მგონი, არაფერი დაშავებულა, იქვე სალიტერატურო ქართულით ბწკარედით ვთარგმნე და, მგონი, საინტერესო გამოვიდა... რა შედარებაა, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ გენიალური თაგორი პროზასა და წერილებს ჰინდის ენაზე წერდა, ხოლო ლექსს მშობლიურ ბენგალურზე, რასაც მერე ინგლისურად თარგმნიდა...

**– ესე იგი, დამგვანებიხარ თაგორს...**

– კაი რა...

**– ერთი ეს მითხარი, ჩემო გური: ტელევიზიასა და ინტერნეტს მიჩერებული თანამედროვე მკითხველი, ჩაუჯდება შენს ეპიკურ პოემას?!**

– ბევრი არ ჩაუჯდება, მაგრამ ვინც წაიკითხავს, ვფიქრობ, უკმაყოფილო არ დარჩება. ამას ხმამაღლა ვაცხადებ!

**– ღმერთმა ჰქნას!**

ესაუბრა
**ვილენ მარდალეიშვილი**

გამოფენა

# ევროპის საუკეთესო დიზაინერები თბილისს სტუმრობენ

**2 დეკემბერს, თბილისში, გამოფენების ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე, დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით გაიხსნა ავეჯის, ინტერიერის, დიზაინისა და აქსესუარების პირველი საერთაშორისო გამოფენა. ავსტრიელმა, გერმანელმა, ჩეხმა, თურქმა, იტალიელმა და პორტუგალიელმა დიზაინერებმა მასპინძლებთან ერთად მნახველს მეტად ორიგინალური და თანამედროვე სტილში გადაწყვეტილი ავეჯი წარუდგინეს.**

სამზარეულოს, საძინებლისა და მისაღები ოთახის ავეჯთან ერთად წარმოდგენილი იყო ანტიკვარული ავეჯიც, ამასთან ერთად ცნობილი დიზაინერების საავტორო და ექსკლუზიური ნივთები, ინტერიერის აქსესუარები და დეკორაციები.

აქვე მოეწყო თბილისის მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლო ცენტრების პრეზენტაცია და მათ ბაზაზე მომზადებული სპეციალისტების ნამუშევრების ექსპოზიცია.





**ელგუჯა ნადარეიშვილი,**
ავტორის ფოტო

# აუქციონი

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შემდეგ ა/მანქანებზე 13 ლოტად:

| | ავტომანქანის დასახელება | გამოშვების თარიღი | შეძენის თარიღი | პასპორტის № | სახელმწ. № | საწყისი გასაყიდი ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| I ლოტი | "ფოლცვაგენ – გოლფი" | 1993წელი | 2005 წელი | AE 0066820 | SBS-067 | 1393,25 ლარი |
| II ლოტი | ფორდესკორტი | 1995წელი | 2005 წელი | PE 0010660 | WUW-614 | 1275 ლარი |
| III ლოტი | "ოპელ - ვექტრა" | 1990წელი | 2004 წელი | PE 0009487 | PAD-296 | 970 ლარი |
| IV ლოტი | [illegible] | 1994წელი | 2006 წელი | AA 0081512 | SAN-618 | 3675 ლარი |
| V ლოტი | ფოლცვაგენ" გოლფი" | 1989წელი | 2003 წელი | AE0040196 | MMW-280 | 1320 ლარი |
| VI ლოტი | "ოპელ-ვექტრა | 1990წელი | 2005 წელი | PE 0011318 | WXW-201 | 1518,50 ლარი |
| VII ლოტი | "ნივა"ვაზ 2121 | 1990წელი | 2006 წელი | PE 0011296 | WXW-188 | 825 ლარი |
| VIII ლოტი | " ოპელ-ომეგა" | 1988წელი | 2003 წელი | PE 0008414 | QOQ-453 | 1109 ლარი |
| IX ლოტი | "BMW"520I | 1992წელი | 2005წელი | PE0010439 | WUW-416 | 3082,50 ლარი |
| X ლოტი | "ნივა" ვაზ 2121 | 1988წელი | 1999 წელი | PE 0006324 | PBB-688 | 141,25 ლარი |
| XI ლოტი | ტოიოტა"ჰაი ლუქსი" | 1991წელი | 2006წელი | AE0081386 | LUK-623 | 2812,50 ლარი |
| XII ლოტი | "ვაზ" 2107 | 1998წელი | 2007წელი | EA0039523 | AEM-343 | 879 ლარი |
| XIII ლოტი | ფოლცვაგენ" გოლფი" | 1992 წელი | 2006 წელი | AF0006775 | QIO-755 | 2108,50 ლარი |

აუქციონის “ბე” შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს
აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10% - ს.
აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს .

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის 11 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ა/მანქანებს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს “ბე”-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

,,ბე”-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№73. ტელ: 8(27-32) 51-27-27; 899 14-60-14; 899 34-50-85.

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

გამოვიდა

# ინფორმაციული ბრძოლის სამხედრო ხელოვნება

**გამოვიდა საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტის, პოლკოვნიკ გივი იასეშვილის სოლიდური, ახალგაზრდობისთვის და ფართო მკითხველისთვის ფრიად საჭირო წიგნი „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია, დაარსება და მიღწევები“.**

წლების განმავლობაში დაუღალავი შრომით, მათ შორის გენშტაბის სამხედრო სამეცნიერო ცენტრში და შემდგომ პერიოდშიც, ბატონმა გივი იასეშვილმა შეძლო ქართული სამხედრო მეცნიერების დარგის განვითარება. ამჟამად, როგორც მკვლევარი და სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეწევა ფართო სპექტრის სამუშაოებს ქართული სამხედრო მეცნიერებისა და ეკონომიკის მომიჯნავე საკითხებზე.




წიგნი საიუბილეო კრებულია და ეძღვნება საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 10 წლისთავს.

ამ ქართულ-ინგლისურენოვანი წიგნის ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერზე – www.nplg.gov.ge.

**საკუთარი ინფორმაცია**

### ფეხბურთი

# სათასო ვნებანი



**სათასო ტურნირებს რომ განსაკუთრებული სიმძაფრე და ხიბლი გამოარჩევს, კიდევ ერთხელ დაადასტურა დავით ყიფიანის სახელობის გათამაშების მეოთხედფინალურმა ბატალიებმა. დასანანი მხოლოდ ის გახლავთ, რომ დრამატული მოვლენები ცარიელი ტრიბუნების თანხლებით განვითარდა და ქართულ ფეხბურთში, პროგრესის ნაცვლად, რეგრესი გრძელდება.**

**„ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“ 4:0 (0:3**

ამწყვილში ჩვენი ფეხბურთისთვის იშვიათი ფაქტი მოხდა – ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონებმა სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს პირველი მატჩის შემდეგ შექმნილი სამბურთიანი დეფიციტი ძირითად



დროშივე ამოუქაჩეს – 3:0 (ბეჟვაია, ლიპარტია, ჯაფარიძე, ხოლო დამატებითი დროის 117-ე წუთზე კვარაცხელიამ გამარჯვების გოლი გაიტანა.

**„ცხინვალი“ – „ბაია“ 2:1 (1:1**

აღსანიშნავია, რომ დევნილთა კლუბის მესვეურთა პროგნოზი – ერთ-ერთი ევროტურნირის საგზურისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთო – ჯერჯერობით პრაქტიკულად ხორციელდება.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან ორრაუნდიან დუელში გადამწყვეტი სიტყვა „ჯვაროსანთა“ ყოფილი კაპიტნის კახი ცხადაძის ვაჟმა ბაჩანა ცხადაძემ თქვა.

**„დინამო“ – „ჩიხურა“ 0:0 (1:1**

ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა უძლიერესთა კვარტეტში სტუმრად გატანილი გოლით გააღწია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „თეთრ-ლურჯებში“ შექმნილ არასახარბიელო ვითარებას. ამ ფონზე ქებას იმსახურებენ სტუმრები, რომლებმაც ტოლი არაფერში დაუდეს მრისხანე მეტოქეს.

**„კოლხეთი“ – „მარტვილი“ 1:1 (0:0**

ბარაქალა მარტვილელებს – ისინი პირველად აფრინდნენ ასე მაღლა.

დავძენთ, რომ ფოთელთა ხსნა 75-ე წუთზე ციკოლიას შეეძლო, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა.

### ჭადრაკი

# წლეულს – მეშვიდედ

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დაიწყო მსოფლიოს მე-9 ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის ხსოვნის ტურნირი, რომელიც საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის პრეზიდენტის ნანა ალექსანდრიას ინიციატივით წლეულს მეშვიდედ ეწყობა.**



ასპარეზობის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, საქართველოში სომხეთის ელჩი ჰრაჩ სილვანიანი, ნანა ალექსანდრია, პარლამენტარი ვან ბაიბურთი, საერთაშორისო არბიტრი თენგიზ გიორგაძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, დიდოსტატები – თამაზ გიორგაძე, გიორგი ბაღათუროვი და დავით გურგენიძე, ასევე, გულბათ ტორაძე, ვაჟა შუბლაძე და სხვები, რომლებიც დამსწრეთა წინაშე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ.

საგულისხმოა, რომ ტიგრან პეტროსიანი 1942-1946 წლებში არჩილ ებრალიძის ხელმძღვანელობით თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ეუფლებოდა ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას. შეჯიბრება, რომელიც სახელოვანი დიდოსტატის 80 წლის იუბილეს ეძღვნება, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართება.

**სურათზე: მარცხნიდან – ნანა ალექსანდრია, გია გიორგაძე, ჰრაჩ სილვანიანი, დავით გურგენიძე, თენგიზ გიორგაძე და ნონა გაფრინდაშვილი მემორიალის საზეიმო გახსნაზე.**

### ოლიმპიზმი

# თბილისი თუ ბრნო?



**ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი 2015 წელს თუ სად გაიმართება, ამის შესახებ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე იმსჯელეს პორტუგალიის დედაქალაქში. ლისაბონშივე ეოკ-ის კონგრესმა კანდიდატებად ოფიციალურად დაარეგისტრირა თბილისის და ჩეხეთის ქალაქ ბრნო. მათ შორის ვინ გაიმარჯვებს, ეს გაისად ნოემბერში ეოკ-ის 39-ე გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდება.**

ლისაბონის თავყრილობას, რომელმაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მესაჭედ ისევ ირლანდიელი პატრიკ ჰიკი აირჩია, ეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე ესწრებოდნენ. „თბილისი – 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა დედაქალაქის მერი გიგი უგულავა.

### ძიუდო

# ვინ წავა იაპონიაში?

**ტოკიოში 11-13 დეკემბერს ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირი – ძიგორი კანოს მემორიალი გაიმართება. შეჯიბრებაზე, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები უძლიერესი შემადგენლობით იყრიან თავს.**



გამონაკლისი არც წლევანდელი ასპარეზობა იქნება. სასიამოვნოა, რომ იაპონიაში საქართველოს ნაკრებიც გაემგზავრება. წინასწარი მონაცემებით, პაექრობებში ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით ჩაებმება: ამირან პაპინაშვილი (60კ, შალვა ქარდავა (66კ, დავით კუპრაშვილი ან თენგიზ პაპოშვილი (73კ, ლევან წიკლაური (81კ, ვალერი ლიპარტელიანი (90კ, ნოდარ მეტრეველი ან ლომერ ჟორჟოლიანი (100კ, ადამ ოქრუაშვილი (მძიმე წონაკ, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან ტოტიკაშვილი. 5-6 დეკემბერს ქუთაისი ძიუდოისტთა ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს.იაპონიაში წამსვლელთა ვინაობის საბოლოოდ გარკვევა მის შედეგებზეცაა დამოკიდებული.

### ჰოკეი

## გელაშვილი - საუკეთესო მეკარე



**გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა გამოაქვეყნა ნოემბრის საუკეთესო ჰოკეისტების გვარები.**

საუკეთესო მეკარედ დასახელებულია „ლოკომოტივის“ მეკარე გიორგი გელაშვილი. ნოემბერში ის9 მატჩში მონაწილეობდა, ორში მას შაიბა არ გაუშვია, მოიგერია დარტყმების 92,5 პროცენტი.

საუკეთესო მცველად დასახელებულია სერგო ზუბოვი (სკაკ.

საუკეთესო თავდამსხმელად მაქსიმ სუშინსკა (სკაკ.

### ინტერნეტიდან

## გუნდები კალათებში ასე განაწილდნენ...

**დღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში, გაიმართება ფინალური ტურნირის კენჭისყრა. ფიფას საორგანიზაციო კომიტეტმა 32 ნაკრები 4 კალათში ასე გაანაწილა:**

**I კალათა – სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა, ბრაზილია, ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია, გერმანია, არგენტინა, ინგლისი.**

**II კალათა – ავსტრალია, იაპონია, ჩინეთის სდრ. კორეა, ჰონდურასი, მექსიკა, აშშ, ახალი ზელანდია.**



**III კალათა – ალჟირი, კამერუნი, კოტ-დ'იუვარი, განა, ნიგერია, ჩილე, პარაგვაი, ურუგვაი.**

**IV კალათა – დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვეიცარია.**

როგორც ამბობენ, გუნდები კალათების მიხედვით ისეა განაწილებული, რომ არ იქნება ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ჯგუფები“.

ამავე დროს, ფიფამ გააფრთხილა არგენტინა, რომ მათი ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან ჟურნალისტების შეურაცხყოფისთვის დისკვალიფიცირებულია 2 თვით და რომ მარადონა ახლა კეიპტაუნში არ უნდა ჩავიდეს.

**სურათზე: კეიპტაუნი ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის.**

## ოლიმპიური მაისური – მედვედევს

**რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს მაისური ოლიმპიური სიმბოლიკით გადასცა ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა დიმიტრი ჩერნიშენკომ. მან აღნიშნა, რომ სოჭის ეს სიმბოლიკა დაიბადა ერთწლიანი არჩევანის შემდეგ მრავალ სიმბოლიკას შორის.**

იმ ფაქტზე, რომ ეს პროექტი მთელი რუსეთისაა და არა ერთი ქალაქისა, მიანიშნებს სწორედ ის, რომ ქალაქის სახელწოდების შემდეგ აღნიშნულია „რუ“. – თქვა ჩერნიშენკომ.




სამშაბათს რუსეთის პრეზიდენტი შეხვდა სოკ-ის პრეზიდენტს ჟაკ როგეს და სოკ-ის საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ჟან-კლოდ კილის, მედვედევმა აღნიშნა, რომ „ეს შეხვედრა შესაძლებელს ხდის, განვიხილოთ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ახალი საკითხები“, მედვედევის განცხადებით, მას იმედი აქვს პარაოლიმპიური თამაშების ჩატარების საკითხების განხილვისაც.

## „პანათინაიკოსის“ მეკარეს ესროლეს

**მორიგი სკანდალით დასრულდა საბერძნეთის მთავარი საფეხბურთო დერბი – „ოლიმპიაკოსისა“ და „პანათინაიკოსის“ დაპირისპირება. მასპინძლების გულშემატკივრებმა მატჩის წინ დააკავეს ავტობუსი „პანას“ ფეხბურთელებით, რის გამოც შეხვედრა ერთი საათით გვიან დაიწყო. თვით თამაშის დროს კი პნევმატური პისტოლეტით სროლა აუტეხეს სტუმრების მეკარეს ალექსანდროს ცერვასს.**



ეს მოხდა მატჩის მე-10 წუთზე, ცერვასის კარზე შეტევის დროს. დაჭრილმა მეკარემ მაინც მოახერხა უძნელესი დარტყმის მოგერიება, ხოლო როცა ბურთმა მოედანი დატოვა, სცადა მსაჯის ანასტარიოს კაკოისის ყურადღების მიპყრობა, მაგრამ მან ეს ინციდენტი ოფიციალურ ოქმში არ დააფიქსირა.

„პანათინაიკოსის“ მეკარემ საჩივარი შეიტანა პროკურატურაში, და სამედიცინო დასკვნებიც დაურთო. პროკურატურამ თავის მხრივ მოითხოვა სათვალთვალო კამერების ჩანაწერების წარდგენაც დამნაშავეთა გამოსავლინებლად.

პრესის ცნობით, „პანათინაიკოსმა“ ასევე იჩივლა საბერძნეთის ფეხბურთის ლიგაშიც, საჩივარში, მეკარისთვის სროლის გარდა, აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ მინდორზე დანაც ისროლეს.

## მაშა მომავალზე ფიქრობს

**ერთობ ხელმოცარული გამოდგა წლევანდელი საჩოგბურთო სეზონი პლანეტის ყოფილ პირველი ჩოგანოსანის მარია შარაპოვასთვის. ახლა ის პირველ რიგში მომავალ საჩოგბურთო სეზონზე კი არა, მოდების სეზონზე ფიქრობს. ის ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ჩავიდა, რათა „გამოამზეუროს“ მისი სადიზაინერო კომპანიის ნაკეთობანი, მის მშვენიერ ტანს უფრო რომ ამშვენებდნენ.**

„მე მომწონს დიზაინერად მუშაობა, – შარაპოვას სიტყვებს იმოწმებს პრესა, – იმიტომ, რომ, ეს შემოქმედებითი საქმიანობაა, მოდა სწორედ ისაა, რასაც მე უნდა გავყვე სათამაშო კარიერის დამთავრების შემდეგ“. თუმცა მისი გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ ეს, რაც შეიძლება, გვიან მოხდება.



ექიმი გვირჩევს

# ჯანმრთელნი რომ ვიყოთ

**ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესსა და რეჟიმზე, საქმიანობასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ხშირად ჩვენ ვერ ვიცავთ ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი, რასაც პრევენციული მედიცინა გვთავაზობს; უმეტესწილად ეს ხდება ჩვენი სიზარმაცის ან „მოუცლელობის“ გამო, რაც უნდა დავძლიოთ სისტემატური და თანამიმდევრული ფიზიკური კულტურით.**

არაფერი შეედრება დილით სუფთა ჰაერზე ფიზკულტურას, სუნთქვით ვარჯიშს იოგების მეთოდით. ასევე საჭიროა დილით მივიღოთ ისეთი საუზმე, რაც დიდ ენერგიას შეგვმატებს. გთავაზობთ ერთ ასეთ საუზმეს: წვრილად დაჭრილი სტაფილო, ჭარხალი და ხახვი მოთუშეთ ზეითუნის ან ჩვეულებრივ ზეთში, მოაყარეთ ბლომად მწვანილი და მიირთვით ყოველ დილით. დააყოლეთ 1 ჭიქა მაწონი, შეგიძლიათ 1 ცალი კვერცხიც დაამატოთ. ეს საკვები შეგძენთ დიდ ენერგიას.

ვისაც სურს მრავალი დაავადებისგან განკურნება, დიდი ენერგიისა და პოტენციის მიღება, შეგიძლიათ მოგვმართოთ სახალხო-სამედიცინო საკონსულტაციო კლინიკაში „თაფლის სახლი“, სადაც მოგცემთ რჩევებს თაფლსა და ტიბეტურ სოკოზე დამზადებული პროდუქტების შესახებ ინდივიდუალურად, ასევე მოგაწოდებთ ყვავილის მტვრისა და ფუტკრის რძის რეცეპტებს.

ეს ნივთიერებები შეიცავენ შეუცვლელ ცილებსა და ამინომჟავებს, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის – ნიკოტინის მჟავას და ბიოტინს, რომლებიც აწესრიგებენ ნივთიერებათა ცვლას, პანტოტენის მჟავას, რომელიც ხელს უწყობს თმის ზრდას და თმის ძირების გამაგრებას, წყლულებისა და ჭრილობების შეხორცებას (მათშია თითქმის ყველა ვიტამინი, B1, B2, B3, B6, B12, C, H, PP, Eძ. მიკროელემენტებს: რკინას, თუთიას, კობალტს, რაც აუცილებელია სისხლის წარმოქმნისათვის.

ფუტკრის რძე აახალგაზრდავებს უჯრედებს, ორგანიზმს მთლიანად, ასუფთავებს კანს, ამაღლებს ტონუსს, პოტენციას, აწესრიგებს არტერიულ წნევას და სისხლძარღვების მდგომარეობას, ორგანოების ფუნქციონირებას. იგი „სიცოცხლის ელექსირია“.

საოცარ გავლენას ახდენს ორგანიზმზე ტიბეტური სოკოთი მომზადებული ნაყენი, რომელიც აჩერებს კიბოს უჯრედების ზრდას. კურნავს კუჭ-ნაწლავის ყველა დაავადებას, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს, თირკმლებს, ფილტვებს, ბრონქებს, შლის და აქრობს ქვებს, მთლიანად ასუფთავებს ორგანიზმს მავნე რადიკალებისაგან, შლაკებისაგან, ნიკოტინისაგან და მარილებისაგან; ამაღლებს სექსუალურ აქტივობას, აჩერებს უჯრედების დაბერებას და აახალგაზრდავებს ორგანიზმს.

ამ სოკოს იაპონიაში ყველა ოჯახში ამრავლებენ, შედეგად იაპონელები მსოფლიოში ყველაზე ჯანმრთელი ერია. ჩვენს „ფუტკრის სახლში“ შეგიძლიათ ეს საოცარი სოკოც მიიღოთ, რაც თქვენი ჯანმრთელობის და სიცოცხლის გახანგრძლივების, ჯანმრთელი ცხოვრების გარანტი იქნება. **ჩვენი ტელეფონებია: 64-13-20, 899 459 480.**

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

---

## არდავიწყება

# ჩვენი სოფიო



87 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენის კავალერი, „ვეჩერნი ტბილისის“ კულტურისა და მეცნიერების განყოფილების ყოფილი გამგე სოფიო ირაკლის ასული გველესიანი.

მისი გზა ჟურნალისტიკაში დაიწყო 1946 წელს: თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მივიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, 1961 წლიდან კი დაიწყო მუშაობა კულტურისა და მეცნიერების განყოფილების გამგედ გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში“. მისი სტატიები ყოველთვის საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევდა. იგი იყო ჟურნალისტთა, მწერალთა, კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი, მუდამ იყო ქალაქისა და ქვეყნის კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენების საქმის კურსში.

მის შესახებ შეიძლებოდა გვეთქვა, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე: ის ფლობდა სიტუაციას. პრემიერები, გასტროლები, სამეცნიერო აღმოჩენები, იუბილეები, ახალი სახელები – ყველაფერი ოპერატიულად გადადიოდა მისი ბლოკნოტიდან გაზეთის ფურცლებზე და შემდეგ კი წიგნებში, რომლებიც გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე. იგი ათი წიგნის ავტორია. ეს ძირითადად არის მოთხრობები ცნობილი ადამიანების, მეცნიერების, მწერლების შესახებ. მრავალი წლის განმავლობაში სოფიო გველესიანი ამზადებდა წიგნს ნემიტოლოგ-აკადემიკოსზე კოტე წერეთელზე. სიცოცხლის თითქმის უკანასკნელ წლებამდე ამუშავებდა მასალას ნიკოლოზ მუსხელიშვილის შესახებ. მასთან ინახებოდა დიდი მეცნიერის მიერ ჩასწორებული ტექსტები, მისი პირველი წიგნი კი „ჩვენ ვეძებთ ხელნაწერს“, რომელიც 1961 წელს გამოიცა, მოიცავდა ნარკვევების სერიას გრიბოედოვის დაკარგული ხელნაწერების ძიების შესახებ.

მას მუდამ გარს ეხვივნენ მეგობრები, კოლეგები, იმ მრავალრიცხოვანი სტატიების ავტორები, რომლებსაც იგი ამზადებდა გაზეთში გამოსაქვეყნებლად, იყო ნიმუში სიცოცხლის იმ ინტერესისა, რაც ასე აუცილებელია ჟურნალისტისთვის. მას ურეკავდნენ, ეძებდნენ რედაქციაში უდიდესი მეცნიერები, აკადემიკოსები, სახალხო არტისტები. ინტერვიუების ფოტოების უმრავლესობა, რომელთა ავტორიც იყო ს.გველესიანი, გაკეთებულია მის კაბინეტში. სხვათა შორის, ამ კაბინეტზე ლეგენდები დადიოდა. იქ შეიძლებოდა გენახათ ნებისმიერი ლიტერატურული ჟურნალი ცნობილი პუბლიკაციებით, ქართველ პოეტთა უმეტესობის ნაწარმოებთა თარგმანები რუსულ ენაზე, მეცნიერებათა აკადემიის, მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა, მხატვართა კავშირების სატელეფონო ცნობარები, ახალი წიგნები ავტორების სასაჩუქრო წარწერებით, რომლებიც ასე იწყებოდა: „ძვირფას ქალბატონ სოფიოს“...

რა ძნელი იყო, სისწრაფეში „გაგეჩანაგებინა“ ეს კაბინეტი, როდესაც 2007 წლის აგვისტოში გვასახლებდნენ გამომცემლობა „სამშობლოდან“... იქიდან ასახლებდნენ ჩვენს არქივებს, გაზეთების შეკვრებს, ყველაფერს, რაც ძვირფასი იყო არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ქალაქისთვისაც... სამწუხაროდ, ანდა იქნებ სასიხარულოდაც კი, ქალბატონი სოფიო იმ დღეებში აღარ იყო სამუშაოზე. ის ავადმყოფობდა და რედაქციაში აღარ დაბრუნებულა. თუმცა უკანასკნელ დღეებამდე რჩებოდა სარედაქციო საბჭოს საპატიო წევრად.

საქართველოს უხუცესი ჟურნალისტის, ახალგაზრდების შესანიშნავი მრჩევლის, თავისი ხალხის ღირსეული შვილის ხსოვნა ყოველთვის დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

„ვეჩორკელები“

---

საქმე №2/492-2009

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

13 ნოემბერი, 2009 წელი ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი
სხდომის მდივანი ნატალია ცირეკიძე

მოსარჩელე – ს.ს. საქართველოს ბანკი.
წარმომადგენელი – ჯონი ტალახაძე
მოპასუხეები – იამზე სივსივაძე (არ გამოცხადდაძ
ნინო კუხალეიშვილი (არ გამოცხადდაძ
მარიამ შოვნაძე (არ გამოცხადდაძ
დავის საგანი – თანხის დაკისრება, დაგირავებული ქონების რეალიზაცია

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელმა მოპასუხეების იამზე სივსივაძის, ნინო კუხალეიშვილის და მარიამ შოვნაძის მიმართ და ითხოვა მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ 7785.89 ლარის და მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ასევე მოსარჩელე ითხოვს თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მოხდეს დაგირავებული ქონების, კერძოდ, ტელევიზორის კორპუსის, მაცივრის, ხალიჩის, რბილი სამეულის, კედლის უცხოური წარმოების, საძინებელი გარნიტურის, მდებარე ქ. სამტრედია, დუმბაძის ქ. №14 და აღჭურვილობა-დანადგარები, სასაქონლო მარაგების – მდებარე ქ. სამტრედია, აღმაშენებლის ქ. №340 იძულებითი აუქციონის გზით რეალიზაცია.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ „მოპასუხეები მითითებულ მისამართებზე უკვე დიდი ხანია აღარ ცხოვრობენ“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხეების – იამზე სივსივაძის, მარიამ შოვნაძისა და ნინო კუხალეიშვილისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით.

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხეებს იამზე სივსივაძეს, მარიამ შოვნაძეს და ნინო კუხალეიშვილს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებაშია მიღებული ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სარჩელი მოპასუხეების – იამზე სივსივაძის, მარიამ შოვნაძის და ნინო კუხალეიშვილის მიმართ თანხის 7785.89 ლარის დაკისრების და დაგირავებული ქონების რეალიზაციის თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეებს, რომ სამოქალაქო საქმეზე ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სარჩელისა გამო იამზე სივსივაძის, მარიამ შოვნაძის და ნინო კუხალეიშვილის მიმართ – თანხის 7785.89 ლარის დაკისრების და დაგირავებული ქონების რეალიზაციის თაობაზე სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2009 წლის 15 დეკემბერს 12 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11ძ.
4. ეცნობოს მოპასუხეებს იამზე სივსივაძეს, მარიამ შოვნაძის და ნინო კუხალეიშვილს, რომ, თუკი ისინი ან მათი უფლებამოსილი პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხეების არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.
5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე: ირაკლი ლეკვეიშვილი**

---

სიდედრი გულიკო, ცოლისძმა შალვა ნამორაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მურთაზ კონსტანტინეს ძე ახვლედიანის

გარდაცვალებას.

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერ-პედაგოგი, ფიზიკის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი

ელენე სურგულაძე

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

## განცხადება

**2009 წლის 26 დეკემბერს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის“ აქციონერთა საერთო კრება (ქ. თბილისი, სპ. კედიას ქუჩა №15ძ. საერთო კრების საალრიცხვო თარიღია 20 ნოემბერი, 2009 წ.**

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოების 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წლიური შედეგების განხილვა და დამტკიცება;
2. 2009 წლის სამეურნეო პერიოდისათვის სააუდიტორო ფირმასთან ხელშეკრულების გაფორმება;
3. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების საკითხის განხილვა;
4. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში და არჩევნები;
5. სხვადასხვა.

**სს „თსიფ“-ის დირექტორი უ. ბექურაიძე**

---

## განცხადება

**2009 წლის 23 დეკემბერს 17 საათზე გაიმართება სს „საქტელეფონმშენის“ აქციონერთა რიგგარეშე კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. შპს „ხირსასა“ და სს „საქტელეფონმშენის“ საბოლოო გამიჯვნის შესახებ;
2. სხვადასხვა.

**სს „საქტელეფონმშენის“ სამეთვალყურეო საბჭო**

---

## განცხადება

**შპს „კენტავრის“ ადმინისტრაცია იუწყება, რომ პარტნიორთა, 04.12.2009 წ. კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება შპს „კენტავრის“ (ს/№206334162ძ რეორგანიზაცია. კერძოდ, საზოგადოებას გამოეყოფა შპს „ლითონი“ და შპს „დალლაკი“. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №77, ტელ: 899772888.**

## სულიერება

# ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანება



**4 დეკემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო და საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანებას.**

წმინდა იოაკიმემ და ანამ ორმოცდაათი წელი იცხოვრეს ერთად, მაგრამ შვილი არ ჰყავდათ, რის გამოც კაცთაგან უამრავ შეურაცხყოფას ითმენდნენ. ერთხელ მღვდელმთავარმა იოაკიმეს მსხვერპლიც კი არ მიიღო. უთხრა, ეტყობა, ბევრი დაფარული ცოდვა გაქვს, რაკი ღმერთი შვილს არ გაძლევსო; დიდმა მწუხარებამ მოიცვა მართალი ცოლ-ქმარი. წმინდა ანამ აღუთქვა უფალს, რომ თუ წყალობას მოიღებდა და შვილს აჩუქებდა, მასვე შესწირავდა.

...უფალმა შეისმინა ანას ლოცვა – ქალს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ ეყოლებოდა ასული – მარიამი, რომლის წიაღიდანაც ქვეყნიერებას მაცხოვარი მოევლინებოდა. ცხრა თვის თავზე გაუჩნდა ცოლ-ქმარს ნანატრი შვილი. გოგონას თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, ზრდიდნენ, ყრმა მარიამი კი საღმრთო მადლით განადიდებდა და განაძლიერებდა მოხუც მშობლებს.

მარიამი 3 წლის გახდა... და, დადგა ჟამი მარიამის მშობლებთან განშორებისა; წმინდა იოაკიმემ და წმინდა ანამ საზეიმოდ მოიყვანეს მხოლოდ შობილი ასული ტაძრად.

იოანე ნათლისმცემლის მამა – მღვდელმთავარი ზაქარია გამოვიდა ტაძრიდან მათ შესახვედრად. ყრმა მარიამმა, როგორც კი კიბეზე ფეხი შედგა, დაუხმარებლად აირბინა თხუთმეტივე საფეხური და მუხლებზე შემოეხვია ზაქარიას. მღვდელმთავარი ზაქარია სულიწმინდის მადლმა მოიცვა, მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო სამკვიდრებელი ღვთის მადლისა და მასზე უფრო ღირსეული...

...უსაზღვროდ გახარებულმა მშობლებმა მადლობა შესწირეს უფალს, შინ დაბრუნდნენ და დიდი სეროზა გამართეს, ხოლო მათმა კურთხეულმა ასულმა ღვთის სახლში განაგრძო ცხოვრება.

**ამ კურთხეულ დღეს „განგებულებისა ღვთისა დასაბამი არს და საუკუნითგან საიდუმლოსა მის აღსრულებისა დაწყება“.**

**გიული ლიპარტია**

## რას არ მოიფიქრებენ!

# ბახვა და პაგანინი

ეს ახალგაზრდა კაცი მარიონეტების თეატრის თანამშრომელი ბახვა წერედიანია. მისი „მეგობარი“ კი მისივე შექმნილი მევიოლინე „პაგანინია“, რომელიც ბახვასთან ერთად დუეტში სასიამოვნო მუსიკას ასრულებს და ჭავჭავაძის გამზირზე, უნივერსიტეტთან შეკრებილ ქალაქელებს ატკბობს. რეპერტუარიც მრავალფეროვანი აქვთ. რეპერტუარი ვახსენეთ და აქვე დავამატებთ – ბახვა და „პაგანინი“ სულ მალე ცნობილი კომპოზიტორების შემოქმედებასაც გაგვაცნობენ.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**

ავტორის ფოტო.



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +8 |
| ქუთაისი. | +9 – +18 |
| ბათუმი. | +9 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +14 |
| თელავი. | +1 – +8 |

## ანეკდოტები

– ქალბატონო, – ეუბნება მოსამსახურე გოგო დიასახლისს, – თქვენთან მუშაობის მიტოვება მომიწევს.

– რა მოხდა?

– ბავშვს ველოდები.

– აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. როგორც ჩანს, ახალი მოსამსახურის დაქირავება მომიწევს.

– ახალ მოსამსახურეს მე თვითონ დავიქირავებ, – კატეგორიული ტონით ამბობს გოგო. – ერთი პატარა, მაგრამ არსებითი დეტალის დაზუსტება დამავიწყდა: ჩემი შვილის მამა თქვენი ვაჟია.

* * *

– ავადმყოფო, გაიღვიძეთ, ახლა ორიოდ ნემსს და სანთელს გაგიკეთებთ.

– იქნებ არ არის საჭირო, ექიმო? აქამდე გაკეთებულისგან საშინლად მტკივა.

* * *

გოგო და ბიჭი ერთმანეთს ბარში შეხვდნენ. ბიჭმა გოგო შინ წაიყვანა, შამპანური დაალევინა და ჰკითხა:



– ხომ არ იქნები ჩემთან დაწოლის წინააღმდეგი?

– მე ეს არასოდეს მიქნია.

– რა არ გიქნია, არასოდეს არ წოლილხარ კაცთან?

– არა, სულელო, უარი არასოდეს არ მითქვამს.

* * *

ადამიანები მზად არიან, ბევრი გადაიხადონ იმისთვის, რომ არაფერი არ აკეთონ და მზად არიან, ბევრი გააკეთონ იმისთვის... რომ არაფერი არ გადაიხადონ!!!

* * *

რაბინოვიჩი ცოლთან ერთად ოდესის მდიდრულ რესტორანში ზის.

– რას დალევს თქვენი მეუღლე, ბატონო რაბინოვიჩ? – ეკითხება ოფიციანტი.

– ჩემს სისხლს.

* * *

– სად ინახავთ თქვენს დანაზოგს?

– ოცნებაში.

* * *

რაც უფრო მეტი გძინავს, მით უფრო მეტად გინდა ძილი. რაც უფრო მეტს ჭამ, მით უფრო მეტად გინდა ჭამა. აი, მუშაობასთან დაკავშირებით კი, რატომღაც, ყველაფერი პირიქითაა.

## დღის კალენდარი — 4 დეკემბერი

**26-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.**

**ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**



**ამოდის 07.11**
**ჩადის 16.29**



**ამოდის 10.19**
**ჩადის 19.04**

### დაიბადნენ:

**822 – ილარიონ ქართველი,** გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე.

**1817 – ნიკოლოზ ბარათაშვილი,** დიდი ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1845 წელს.

**1854 – ვასო აბაშიძე,** საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი მესაფუძვლე. გარდაიცვალა 1926 წელს.

**1867 – შიო არაგვისპირელი-დედაბრიშვილი,** მწერალი. გარდაიცვალა 1926 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**123 – ომარ ხაიამი,** უზბეკი პოეტი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.

### მოვლენები:

**1808 წელი** – ნაპოლეონმა ესპანეთში ინკვიზიცია გააუქმა.

**მედიანიუსი**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6734 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7877 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7592 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3389 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0852 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0946 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1179 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4614 ლარი |



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.